პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერაყში ომი მთავრდება, ისახება მშვიდობის კონტურები

ოპერაცია „თავისუფალი ერაყი“: დღე ოცდამეოთხე

ბაღდადში გუშინ საღამოდან კომენდანტის საათი გამოცხადდა, განთიადამდე ქალაქის ქუჩებში სპეციალური ნებართვის გარეშე გამოსვლა იკრძალება. დამრღვევებს პატრულები დააკავებენ. კომენდანტის საათის დაწესება მაროდიორობის ტალღის შეჩერებას ისახავს მიზნად, რომელმაც ერაყის დედაქალაქი სადამ ჰუსეინის რეჟიმის დაცემის შემდეგ მოიცვა.

* * *

აშშ მე-4 ქვეითი დივიზია ერაყში კუვეიტიდან შევიდა. ამერიკის სამხედრო სარდლობა იძულებული გახდა შეეცვალა თავდაპირველი გეგმა მას შემდეგ, რაც თურქეთის პარლამენტმა უარი განაცხადა ერაყში თურქეთის გავლით 62 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის, მათ შორის მე-4 ქვეითი დივიზიის გატარებაზე.

* * *

ამერიკელთა ჯარმა ქ. თიქრითის შტურმი დაიწყო. ანტიერაყული კოალიციის სარდლობა ვარაუდობს, რომ იქ შეიძლება იმალებოდნენ სადამ ჰუსეინის თანამოსაგრენი და თვითონ ისიც. ერაყელები მოკავშირეებს წინააღმდეგობას უწევენ.

* * *

აშშ სპეცდანიშნულების რაზმები ერაყ-სირიის საზღვრის გადაკეტვას ცდილობენ – სურთ არ დაუშვან ერაყიდან სადამის მაღალჩინოსნების გაქცევა, გზა გადაუჭრან ერაყში მოთარეშეების შემოსვლას არაბული ქვეყნებიდან.

* * *

ამერიკელებმა ბაღდადის ახლოს რამდენიმე ჩეჩენი დააკავეს. ხაზს უსვამენ მათ „ფანატიკურ განწყობილებას“.

* * *

აშშ სამხედრო მოსამსახურეებმა ჩაახშვეს წინააღმდეგობის ერთ-ერთი უკანასკნელი კერა ბაღდადში. ტანკებმა და საზღვაო ქვეითებმა დაიკავეს ერაყის ყოფილი რეჟიმის უცხოელ მხარდამჭერთა პოზიცია. არაბული ქვეყნებიდან ჩამოსულ მოხალისეთა ფორმირება მთლიანად განადგურებულია.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

სს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს.
№96 (4475)
კვირა, 13 აპრილი, 2003 წელი.
ფასი 50 თეთრი.

კონტრაბანდის წინააღმდეგ

ტკბილი ზღაპარი მწარე სიგარეტზე

როგორც ბოლო დროის ფაქტები ცხადყოფენ, საქართველოში კონტრაბანდული საქონელი წვრილ-წვრილ პარტიებად შემოედინება, მერე რომელიღაც სოფელში ან რომელიღაც სახლში გროვდება და მთელი ქვეყნის მასშტაბით ნაწილდება. ამ მეთოდით ადვილია ჩვენი მორღვეული საზღვრის გადმოლახვაც და სასურველი ტვირთის გადმოტანაც. ერთ-ერთ ასეთ საქმეზე გვესაუბრება საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში მოკვლევასა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი ნუგზარ შენგელია.

2003 წლის 23 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა, გადაუდებელი შემთხვევის გამო, მარნეულის რაიონის სოფელ მეორე ქესალოში გაჩხრიკეს ომარ ქარიმოვის საცხოვრებელი ბინა. ამ სამმართველოს მესამე განყოფილების უფროსის მალხაზ კაპანაძისა და ოპერატიულ მუშაკ თენგიზ ჯიქიას ინფორმაციით, ამ ბინაში თავს იყრიდა კონტრაბანდული საქონელი.

იხ. მე-5 გვ.

გუშინ

„იუსტიციის უმაღლესი სკოლა“ – საქართველოს იუსტიციის საბჭოს ახალი კანონპროექტი

მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს 12 აპრილს გამართულ იუსტიციის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტი წარმოადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ასეთი სკოლის შექმნის აუცილებლობა განსაზღვრა საქართველოში პროფესიული კადრების სიმცირემ – „იურიდიული განათლების დონე საკმაოდ დაბალია. ამ დარგში სპეციალისტის მომზადება არ ნიშნავს მხოლოდ კანონების შესწავლას, მოსამართლე და პროკურორი სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდნენ და კარგად ფლობდნენ პროფესიულ უნარ- ჩვევებს,“ – განაცხადა ლადო ჭანტურიამ.

კანონპროექტი დეტალურად განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა პროფესიულ სწავლებას, სტაჟირებასა და გადამზადებას. უმაღლეს სკოლაში მიღება მოხდება ორი წესით: კონკურსითა და უკონკურსოდ. პირველი ტური გაიმართება წერილობითი ფორმით, რომელზეც შემოწმდება ზოგადი განათლების დონე და ანალიტიკური აზროვნება. კონკურსის მეორე ტური კი გულისხმობს საჯარო ზეპირ გამოცდას. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაბარების მსურველებს უკვე უნდა ჰქონდეთ იურიდიული განათლება.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 8 აპრილი
ქ. თბილისი

ნუგზარ ნავაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის დარგის განვითარებაში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს შეიარაღებული ძალებისა და დევნილი მოსახლეობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი ორგანიზაციული და კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ ნავაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

შევეწიოთ

სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

PSP - RICHTER	– 10 000 ლარი;
შოთა მეტრეველი	– 50 ლარი;
ირინა მუმლაძე	– 5 ლარი;
ხათუნა ივანიშვილი	– 5 ლარი;
დავით ჭიოტაშვილი	– 10 ლარი;
სერგო არუთინოვი	– 20 ლარი;
ეკატერინე გაჩეჩილაძე და კონსტანტინე არუთინოვი	– 20 ლარი;
თ. ძაგნიძე, ა. იმერლიშვილი	– 100 დოლარი;
ოლიკო ფანჩულიძე	– 10 დოლარი.

გიხაროდენ!

ხოვლეში ბიჭით დაბრუნდება

– წუხელის ბიჭი დაბადებულა, – ღიმილით მითხრა კასპის რაიონის სააქციო საზოგადოება „საავადმყოფოს“ სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების ექიმ-გინეკოლოგმა ქეთი გიორგაძემ, – ეს კი 8 აპრილს დაბადებული მეექვსე ბავშვია!

ბიჭის დედას იამზე ბახტაძეს ვაჟიანობა მთელმა სამედიცინო კოლექტივმა მიულოცა. ამ დღეებში იამზე თავის სოფელ ხოვლეში დაბრუნდება და ოჯახი ახალი წევრის შემომატებას ქართული ტრადიციისამებრ აღნიშნავს, – გვაცნობა ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა **გურამ ვაშაკიძემ.**

ხოვლელებს ბიჭის შემომატებას ვულოცავთ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

განსახილველად

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის (200 000 ამომრჩევლის) მიერ წარმოდგენილი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ნინო ბურჯანაძე.

2003 წლის 28 მარტი.

იხ. მე-3-4 გვ.

პარტიებსა და მოძრაობებში

„ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, პრეზიდენტ შევარდნაძეს ვინმესთან წაეგოს“

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ალიანსი ახალი საქართველოსათვის“ თავმჯდომარე ირაკლი გოგავა:

– ბატონო ირაკლი, სახელისუფლებო ძალები გაერთიანდნენ. ბლოკს „ახალი საქართველოსათვის“ სათავეში პრეზიდენტი შევარდნაძე ჩაუდგა. ოპონენტები აცხადებენ, რომ სამთავრობო კოალიციის გამოცდილება საქართველოში არ არის. თქვენი აზრით, რამდენად მონოლითური და სიცოცხლისუნარიანი იქნება ახალი გაერთიანება, როგორია სახელისუფლებო ძალების საარჩევნო პერსპექტივა?

იხ. მე-2 გვ.



დედაქალაქი

რიყე რომ გარიყული არ დარჩეს

იხ. მე-6 გვ.



ასე გამოიყურება რიყის უბნის ქალაქგეგმარებითი იდეა.

კადრი



ნოხების გამყიდველი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ინფორმაცია

საკითხი გამიზნულად არის შემოგდებული

სპეციალური ეკონომიკური ზონების შემოღება საქართველოში ნაადრევია, მიაჩნია პარლამენტის ვიცე-სპიკერს, სოციალისტური პარტიის ლიდერს ვახტანგ რჩეულიშვილს. როგორც მან 11 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კანონპროექტი პარლამენტმა რომც მიიღოს, მის მიმართ პრეზიდენტი ვეტოს უფლებას გამოიყენებს.

დაფუძნდა კავშირი „საქართველო ჩემი სამშობლოა“

საქართველოში მცხოვრები არაქართული დიასპორის წარმომადგენლებმა გუშინ კავშირი „საქართველო ჩემი სამშობლოა“ დააფუძნეს. იგი აბსოლუტურად არაპოლიტიკური იქნება და საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების პრობლემებზე იმუშავებს.

კავშირის ლიდერის ალი ბაბაევის განცხადებით, მათი ძირითადი მიზანი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიღებაა.

ალი ბაბაევის განცხადებით, კავშირს სპეციალური პროგრამა აქვს შემუშავებული, რათა ქვემო ქართლში მცხოვრებ არაქართულენოვან მოსახლეობას ქართული ენა შეასწავლონ.

ახლადშექმნილი კავშირი საქართველოს პრეზიდენტს სრულ მხარდაჭერას უცხადებს, მისი წევრები აცხადებენ, რომ „მათი სახით ქვეყნის პრეზიდენტს უცვლელი, ერთგული ძალა მუდამ გვერდში ეყოლება“.

პროსპექტი დაიტბორა

გუშინ დილით მარშალ გელოვანის პროსპექტზე მე-4 წყალმდენი 1000-მილიმეტრიანი მილსადენი გასკდა, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მოსახლეობას სასმელი წყლით საგურამოს წყალსადენიდან ამარაგებს, ავარიის შედეგად დაიტბორა გელოვანის გამზირის დიდი მონაკვეთი.

როგორც „თბილწყალკანალში“ განმარტეს, მილის დაზიანება 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგია. მიწისძვრის გამო მიწისქვეშა წყალსადენი მილების ფარული დაზიანება მოხდა, რამაც 1000-მილიმეტრიანი მაგისტრალური მილსადენის დაზიანება გამოიწვია.

ავარიის ლიკვიდაციას 24 საათში ვარაუდობდნენ.

„ამცახარა“ კვლავ იმუქრება

ვეტერან მეომართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ამცახარა“ პოზიციას არ იცვლის და აფხაზეთში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებამდე თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის ახალ შემადგენლობაში ადგილების დაკავებაზე უარს აცხადებს, ხოლო მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, კვლავ საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

სასამართლო

გამახარია ვერ გაახარეს

იხ. მე-6 გვ.

უკანასკნელ საათს

ერაყელმა ექიმმა ამერიკელებს აცნობა, რომ სადამ ჰუსეინს და მისი ოჯახის ზოგიერთ წევრს გარეგნობის შესაცვლელად პლასტიკური ოპერაცია გაუკეთა. ექიმის თქმით, მან არ იცის, სად იმყოფებიან სადამ ჰუსეინი, მისი ოჯახის წევრები და რეჟიმის სხვა მაღალჩინოსნები. ამჟამად ამერიკის დაზვერვა ამოწმებს ექიმის ინფორმაციას, რომლის ვინაობასაც არ ამხელენ.

მოკავშირეებმა სადამ ჰუსეინის სიკვდილის შესახებ ცნობა მიიღეს. აშშ სპეცსამსახურებმა ერაყის ოფიციალურ პირთა სატელეფონო საუბრები მოისმინეს. ისინი ჰუსეინის სიკვდილის შესახებ ლაპარაკობდნენ, ოღონდ მისი დაღუპვის დროსა და ადგილზე არაფერი თქმულა.



ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ⛅ ქარი 10-15 მ/წმ.

დაბლობში ღამით +8°, დღისით +23°, მთაში ღამით +2°, დღისით +19°, მაღალ მთაში ღამით –2°, დღისით +12°.

აღმოსავლეთ საქართველოში ⛅ 🌧 სუსტი ქარი.

ბარში ღამით +4°, დღისით +15°, მთაში ღამით –3°, დღისით +14°. მაღალ მთაში ღამით –6°, დღისით +4°.

თბილისში ⛅ 🌧 ქარი 10-15 მ/წმ.

ღამით +4°, დღისით +15°.

ლარის კურსი

12 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.3998 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1660 ლარი
ევრო	1	2.3345 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0692 ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ პენსიონერი, ჩემი პენსია თვეში 14 ლარს შეადგენს. ტელევიზიით მოვისმინე, რომ დედაქალაქის მცხოვრებლებს პენსია მოემატებათ 3 ლარით. მართალია, თუ არა აღნიშნული ინფორმაცია და თუ ეს ასეა, როდის შევა ძალაში?

ნუგზარ გაბუნია.

– დედაქალაქში მცხოვრები პენსიონერებისთვის პენსიის მომატების შესახებ ინფორმაცია გუშინ გაცხადდა ტელევიზიით. ითქვა, რომ მომატებული პენსიების გაცემა უკვე დაიწყო.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

კოალიციამ ერაყის პოლიციას ბაღდადში წესრიგის დამყარებისკენ მოუწოდა. ეს მაროდიორთა უპრეცედენტო ძარცვა-გლეჯასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, შეიარაღებულმა ბანდებმა პირწმინდად გაცალეს ქალაქის მრავალი საავადმყოფო.

სადამის გვარდიის უფროსმა მაჰერ სუფიანმა ამერიკელებთან საიდუმლო შეთანხმება დადო. მან იარაღის დაყრისა და სახლებში წასვლის ბრძანება გამოსცა. ამის შემდეგ იგი ამერიკულმა შვეულმფრენმა „უსაფრთხო ადგილას“ გადაიყვანა.

ქალაქ ქირქუქში წესრიგი აღდგენილია. ქურთები ქალაქს ტოვებენ. ალიკვეთა ძარცვა. წესრიგს ძირითადად ამერიკელები იცავენ.

„საქართველოს რესპუბლიკა“ [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა
№ 96, კვირა, 13 აპრილი, 2003 წელი

გუშინ

„იუსტიციის უმაღლესი სკოლა“ — საქართველოს იუსტიციის საბჭოს ახალი კანონპროექტი

პირველი გვერდიდან

სწავლება ორწლიანი იქნება, რომლის განმავლობაში მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხსაც, რაც თავიდან აგვაცილებს ამ თვალსაზრისით დღეს არსებულ პრობლემებს, ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში წარგზავნილი პროკურორი თუ მოსამართლე გამართულად უნდა ფლობდეს ენას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მომავალში პროკურორებად და მოსამართლეებად მხოლოდ ამ სკოლის კურსდამთავრებულებს დანიშნავენ და მათი შერჩევა უმკაცრესი წესების დაცვით მოხდება. თუმცა კანონპროექტი გარდამავალ დებულებაში მიუთითებს, რომ თანამდებობაზე დასანიშნად იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსის სავალდებულობა არ ვრცელდება ამჟამად მოქმედ მოსამართლეებსა და პროკურორებზე.

საქართველოს პრეზიდენტმა მოიწონა სიახლე და აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ არსებობს სახელმწიფო მოხელეთა მომზადებისა და გადამზადების გამართული სისტემა: „სამწუხაროდ, ეს შეეხება ყველა სახელმწიფო სამსახურს. დღემდე ინერციით მოვდივართ და ძველებურად ვუდგებით მმართველობის საქმეს. საბჭოური მენტალიტეტის კადრები თანდათან უნდა შეიცვალოს ახალი ტიპის სახელმწიფო მოხელით, სხვაგვარად ძლიერი ადმინისტრაციის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდება,“ — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ და მართებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სკოლის შესახებ კანონპროექტის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები.

სხდომის დღის წესრიგის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების 2002 წლის მონაცემები მიმოიხილა იუსტიციის საბჭოს წევრმა თენგიზ შარმანაშვილმა.

მან განაცხადა, რომ მართალია, სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას უმთავრესია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და საქმეთა განხილვაში ჩაურევლობა, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს დარღვევებთან შეგუებასა და მოსამართლეთა მიერ უფლებების ბოროტად გამოყენების უპასუხოდ დატოვებას.

„დარღვევები რომ არავის ეპატიება, ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ ახალი სასამართლო სისტემის შემოღების დღიდან უკვე გათავისუფლდა 16 მოსამართლე,“ — განაცხადა თენგიზ შარმანაშვილმა.

სასამართლო სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის დასტური იყო მის მიერ წარმოდგენილი სხვა მნიშვნელოვანი მონაცემებიც. კერძოდ, გასულ წელს საქართველოს იუსტიციის საბჭომ განიხილა 346 განცხადება, საჩივარი თუ სხვა მასალა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრისა და მათი პასუხისგებაში მიცემის საკითხთან დაკავშირებით. საბოლოოდ, მოკვლევის შედეგად, იუსტიციის საბჭომ 19 მოსამართლე გადასცა სადისციპლინო პასუხისგებას და მათი საქმეები განსახილველად გადაუგზავნა სადისციპლინო კოლეგიას. ამ მოსამართლეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განიხილა 267 განცხადება და საჩივარი მოსამართლეთა მიმართ. თუმცა, ფაქტების დაუდასტურებლობის გამო საქმეთა უმრავლესობა შეწყდა და სადისციპლინო პასუხისგებაში მიეცა 45 მოსამართლე.

„ჩვენ დიდი გამოცდილება შევიძინეთ სასამართლო რეფორმის შემდეგ განვლილ მცირე დროში, ეს ციფრები კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას ნიშნავს,“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და გამოთქვა სურვილი, რომ სამართალდაცვის სხვადასხვა

სამსახურებმა უფრო მეტი შეთანხმებით ითანამშრომლონ. „ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობის გარეშე მიზანს ვერ მივაღწევთ, ამ პროცესში ყველა უნდა ჩაებას,“ — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ და იქვე დასძინა, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში პასუხი მხოლოდ მოსამართლეებმა არ უნდა აგონ, ასევე დაუნდობლები უნდა ვიყოთ პროკურორებისა თუ სხვა სამართალდამცველების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მიმართაც.

კანონპროექტები — „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხები საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა იუსტიციის საბჭოს წევრმა ოთარ გოგოძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასამართლო ხელისუფლების მიერ მართლმსაჯულების მაღალკვალიფიციურად და ეფექტიანად განხორციელებას, სასამართლოთა საქმიანობის გამჭვირვალე მუშაობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის საერთო სასამართლოების სისტემის ორგანიზაციული მოწყობა და მუშაობის ისეთი წესი, რომელიც გამორიცხავს საქმეთა წარმოების უსაფუძვლო გაჭიანურებას, აამაღლებს მოსამართლეთა პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას.

ამ მიზნით, კანონპროექტში შემოთავაზებულია თბილისში საქალაქო სასამართლოების შექმნა და თბილისის რაიონული სასამართლოების გაუქმება. სპეციალისტთა აზრით, ამ გზით კომპლექსურად გადაწყდება თბილისში მართლმსაჯულების განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფის პრობლემატური საკითხები.

მეორე კანონპროექტი კი განსაზღვრავს მოსამართლეთა კანონით დადგენილი დანამატების, დახმარების, სხვა მატერიალური შეღავათების ასანაზღაურებლად საჭირო თანხების დაფინანსების წყაროებს.

ედუარდ შევარდნაძემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი კანონპროექტები და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოს წევრები მომავალშიც აქტიურად განაგრძობენ ნაყოფიერ მუშაობას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

დოკუმენტი

საქართველოს კანონი

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №17-18, 1997, გვ. 32) მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

2. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ განახორციელოს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ფუნქციები კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული გამგებლობის სფეროსა და მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით.

მუხლი 3

ძალაში დარჩეს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მიერ გამოცემული, დადგენილი წესით რეგისტრირებული და გამოქვეყნებული ნორმატიული აქტები. მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მათი გაუქმება განხორციელდეს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 4

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ხარჯები შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დაიფარება კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსათვის 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დადგენილი ხარჯების გათვალისწინებით.

მუხლი 5

ეთხოვოს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

მუხლი 6

ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს:

ა) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა;

ბ) უზრუნველყოს „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა.

მუხლი 7

1. ეს კანონი, გარდა მე-5 და მე-6 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

2. ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2003 წლის 28 მარტი.

საქართველოს კანონი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20 (27), 1999 წელი, მუხ. 101) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონება შეიძლება გადაეცეს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს თანხმობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2003 წლის 28 მარტი.

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო — სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2003 წლის 28 მარტი.

დურუჯი აბობოქრდა

მდინარე დურუჯი, ქალაქ ყვარელთან შედარებით, ზღვის დონიდან გაცილებით მეტ სიმაღლეზე მიედინება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ყვარლის მოსახლეობას.

კოკისპირული წვიმების შედეგად მდინარე კვლავ ადიდდა და მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთები დატბორა. მდინარის დამცავი ხელოვნური დამბები დიდი ხნის წინათაა აგებული და თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს.

საშიშროების შესახებ საკითხი რამდენჯერმე დაისვა მთავრობის წინაშე. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ ყვარელში იმყოფებოდა და ადგილზე ათვალიერებდა ადიდებული მდინარისგან მიყენებულ ზარალს.

სამი ლარით გაზრდილი პენსიები მიიღეს

თბილისელმა პენსიონერებმა დღეს პირველად პენსიები 3-ლარიანი დანამატით მიიღეს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კობა ბექაურის განცხადებით, თბილისის მასშტაბით 150 ათასამდე პენსიონერია აღრიცხული, ხოლო პენსიაზე 3-ლარიანი დანამატისთვის მუნიციპალურ ბიუჯეტში 4 მილიონ 200 ათასი ლარია გაწერილი.

პროგრამები მხოლოდ ნაწილობრივ არის დაფინანსებული

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში პირველი კვარტლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები მხოლოდ 70,3 პროცენტით, ანუ 15 632 083 ლარითაა დაფინანსებული. გეგმით კი, 22 240 000 ლარი იყო გათვალისწინებული.

როგორც „ინტერ-პრესს“ ფონდში განუცხადეს, მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა — 50,5 პროცენტით, სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამა — 64,8 პროცენტით, ფსიქიატრიული დახმარების კომპონენტი — 77,7 პროცენტით, ფთიზიატრიული დახმარების კომპონენტი — 66,3 პროცენტითაა დაფინანსებული.

ჩხრეკა ტუბზონაში

სასჯელაღსრულების დაწესებულების ქსნის ტუბზონაში გუშინ ორსაათიანი ჩხრეკის ღონისძიება ჩატარდა.

ჩხრეკისას პატიმრებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და ღონისძიებას რაიმე ექსცესი არ მოჰყოლია. ამოიღეს სხვადასხვა სახის მჩხვლეტავი და ბასრი ნივთები, შპრიცები, ხერხი, მობილური ტელეფონები, დანები, ჩაქუჩები და 10-ლიტრიან ჭურჭელში მოთავსებული სპეციალური სპირტიანი სასმელი „ბრაგა“.

ქსნის ტუბზონაში ჩატარებული ჩხრეკა არის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგმის ნაწილი, რომელიც ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების სახით ამა წლის იანვრიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს ციხეში დანაშაულებრივი შემთხვევების აღკვეთას.

დანაპირები ოთხი წლის შემდეგ შეასრულეს

„მწვანეთა პარტიამ“ გასული საპარლამენტო არჩევნების დროს მიცემული პირობა შეასრულა და გუშინ რუსთავის მე-7 საშუალო სკოლის ეზოში დასარგავად რამდენიმე ათეული ნერგი ჩაიტანა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

პარტიებსა და მოძრაობებში

„ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, პრეზიდენტ შევარდნაძეს ვინმესთან წაეგოს“

პირველი გვერდიდან

— ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს არის ყველაზე მძლავრი სახელისუფლებო ბლოკი. ვფიქრობ, ბლოკს წარმატება გარანტირებული აქვს. თვითონ განსაჯეთ, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, პრეზიდენტ შევარდნაძეს ვინმესთან წაეგოს. ბლოკის ლიდერობა, ხელმძღვანელობა პრეზიდენტმა თავის თავზე აიღო. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს საქართველოში შევარდნაძის ძალის გადამწონი პოლიტიკური ძალა არ არსებობს, რაც მთავარია, სიმართლე მის მხარესაა. მართალია, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში პრობლემები გვაქვს, მაგრამ, საერთო ჯამში, ობიექტურად თუ შევაფასებთ, და არა ქვანიასა და საააკაშვილის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიხედვით, ქვეყანამ სერიოზული პროგრესი განიცადა. თუნდაც იმით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაში სერიოზული ადგილი დაიმკვიდრა საქართველომ, ფუნქცია შეიძინა, უამრავი ადამიანი დასაქმდა. გახსოვთ, ალბათ, 1992-93 წლებში ხელფასი ნახევარ დოლარს არ აღემატებოდა. რაც დღეისათვის დაახლოებით 300-400 პროცენტით გაიზარდა. ზრდის ტენდენცია კვლავაც იქნება. მთავარი პრობლემა ქვეყანაში მაინც ეკონომიკაა. თუ ხელისუფლება, მთავრობა, ახალი პოლიტიკური გაერთიანება ქვეყანაში ეკონომიკურ ძვრებს მოახდენს, ამ ბლოკის წარმატება გარდაუვალია.

— ორშაბათის რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა შევარდნაძემ პარლამენტის რეფორმირების შესახებ ისაუბრა. არადა, საქართველოს კონსტიტუცია თავად გულისხმობს ორპალატიანი პარლამენტის არსებობას. პარლამენტის რეფორმა პარლამენტარებსაც აქტუალურად მიაჩნიათ. ბევრი თვლის, რომ საქართველოსთვის ყველაზე მისაღები საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელია. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ჩვენი კონსტიტუცია გულისხმობს ორპალატიან პარლამენტს, მხოლოდ იქ არის პრეამბულა — ტერიტორიული საკითხის მოგვარებამდე ორპალატიან სისტემაზე გადასვლა შეჩერებულია. მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, დადგა დრო, კონსტიტუციის ეს მუხლი ამოქმედდეს, ანუ, ორპალატიანი პარლამენტის შემოღებაზე ვიფიქროთ. ასიმეტრიული ფედერალიზმი, უახლოეს მომავალში, ალბათ, საქართველოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი ეტაპი იქნება. პარლამენტში ზედა პალატა (რაიონების, რეგიონების წარმომადგენლობა) უფრო მკაფიოდ და მკვეთრად უნდა წარმოჩინდეს.

— საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადად 2 ნოემბერი გამოცხადდა. უკვე ალაპარაკდნენ, რომ არჩევნების გადადება თითქმის ყველა პარტიის ინტერესებშია. მართალია, არჩევნების გადადება-არგადადების თვალსაზრისით არც ერთი პარტიის სურვილი გადამწყვეტ როლს არ ასრულებს, მაგრამ ამბობენ, რომ დღეს ამის ალბათობა ძალიან დიდია. როგორია თქვენი აზრი?

— ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საპარლამენტო არჩევნები ობიექტურად და სამართლიანად გაიმართოს და არა ისე, როგორც ვითომ ოპოზიციურ ძალას წარმოუდგენია (გაყალბებით, ცესკოზე მანიპულირებით და ა. შ.).

— ბატონო ირაკლი, „აღორძინების“ კანონპროექტს თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ, პარლამენტი ამ დღეებში განიხილავს. თეზ-ის ავტორები მიიჩნევენ, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოს 3-მილიარდიანი საგარეო თუ საშინაო ვალების გასტუმრებაში დაეხმარება. ამ მოსაზრებას ბევრი, მათ შორის სახელისუფლებო ფრაქციები არ იზიარებენ. საქართველოში თეზ-ის ჩამოყალიბებას მხარს არც საერთაშორისო სავალუტო ფონდი უჭერს. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ თეზ-ის ოპონენტების შიში, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ კანონპროექტის მიღება კიდევ უფრო გაართულებს საქართველოს ურთიერთობას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და, აქედან გამომდინარე, პარიზის კლუბთან, რაც ქვეყანას დეფოლტის წინაშე დააყენებს?

— თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური ფაქტორი. ეს საკითხი ღრმა ანალიზს მოითხოვს. ამასთან, დაკავშირებით, ორიოდე დღის წინათ ჩვენ ყველა წამყვანი ექსპერტი და თეზ-ის თანაავტორი მოვიწვიეთ. მოვისმინეთ მათი არგუმენტები, ასევე, ვაპირებთ მთავრობის მოსაზრებები მოვისმინოთ. ყველაფერს ავწონ-დავწონით და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ. იმისი თქმა, რომ სახელისუფლებო ფრაქციები ამ კანონპროექტის ჩასაგდებად ვართ განწყობილი, არასწორია. ვიმეორებ, ჩვენ მხოლოდ არგუმენტების აწონ-დაწონვით, ქვეყნის ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ.

ესაუბრა
მზია გელენავა.

არდავიწყება

სულის სინათლე და სიმაღლე...

ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

... ადამიანის სიცოცხლე თითქოსდა ორ ეტაპად იყოფა. ერთი, როცა თავად ცოცხალია, ხოლო მეორე, როცა ცოცხლობს მისი ხსოვნა, როცა ცოცხლობენ ისინი, ვისაც არ ავიწყდებათ იგი. ხელოვნებაში მეორე ეტაპს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება — შემოუნახოს და გადასცეს შთამომავლობას ყველაფერი ამ პიროვნების შესახებ.

ექვსი წელია აღარ არის ჩვენს შორის გამოჩენილი მომღერალი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და მოქალაქე ზურაბ ანჯაფარიძე. 12 აპრილი ამ დიდი ხელოვანის ცხოვრებაში საკრალური თარიღია. იგი დაიბადა და ამ წუთისოფლიდან წავიდა სწორედ 12 აპრილს.

ბედმა უხვად დააჯილდოვა. იგი ღვთაებრივი ხმით, განუმეორებელი გარეგნობით, შეუდარებელი ღიმილით, შინაგანი კეთილშობილებით, სცენური მომხიბვლელობით და, რაც მთავარია, უიშვიათესი ნიჭით — ეცხოვრა მუსიკით. „ყოველ ადამიანს აქვს თავისი მიზანი, თავისი სიყვარული, ჩემი მიზანი, ჩემი ცხოვრება ყოველთვის იყო სიმღერა.“ ზურაბ ანჯაფარიძის ეს სიტყვები თავისებურ ლაიტმოტივად გასდევდა საიუბილეო საღამოს, რომელიც 12 აპრილს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა. აქ შეიკრიბნენ საზოგადოებრიობის, ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მომღერლის მეგობრები და კოლეგები, ახლობლები და ოჯახის წევრები, მისი განუმეორებელი ნიჭის თაყვანისმცემლები.

მომღერლის კოლეგებმა, მეგობრებმა თავიანთ გამოსვლებში უდიდესი მადლიერებით გაიხსენეს დიდი ხელოვანი, მისი ღვაწლი ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში, ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში. და ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო ზურაბ ანჯაფარიძის მდიდარ სულიერ სამყაროსთან, მის მაღალ ზნეობრივ ღირებულებებთან.

„ზურაბის არაჩვეულებრივმა „ქართულმა ხმამ,“ რომელიც წლების მანძილზე ამშვენებდა დიდი თეატრის სცენას, გენიალური უბრალოებით დაადასტურა, რომ ჭეშმარიტად ეროვნული ყოველთვის ზოგადსაკაცობრიო ხდება,“ — განაცხადა საღამოზე რუსეთის დიდი თეატრის სოლისტმა ვლადისლავ პიავკომ.

კონცერტზე აჟღერდა ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები გამოჩენილი ქართველი მომღერლების მაყვალა ქასრაშვილისა და ნუგზარ გამგებლის, თბილისის ოპერის თეატრის სოლისტების შესრულებით.

სადირიჟორო პულტთან იდგა გიორგი ჟორდანია.

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ფონდის პრეზიდენტმა, მომღერლის მეუღლემ და ერთგულმა მეგობარმა მარინა მაჭავარიანმა-ანჯაფარიძემ გამოაცხადა ფონდის ოქროს მედლის მფლობელთა ახალი სახელები: ჯანსუღ კახიძე (სიკვდილის შემდეგ), ბიძინა კვერნაძე, ვლადისლავ პიავკო, ირინა არხიპოვა, ცისანა ტატიშვილი, მუსიკისმცოდნეები — მაია დათუნაშვილი და მანანა პაიჭაძე, თბილისის მერი ვანო ზოდელავა და ოპერის თეატრის დირექტორი ზურაბ ლომიძე.

თბილისის ოპერის თეატრის თაღებქვეშ აჟღერდა ჩვენი უკვდავი „მრავალჟამიერი“ ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლის მოსწავლეების შესრულებით, როგორც მარადიული მშვენიერების სიმბოლო.

კონცერტმა, რომელსაც უძღვებოდნენ ნოდარ ანდღულაძე და მაია დათუნაშვილი, საღამოს მთელმა ატმოსფერომ, რომელიც სავსე იყო სიყვარულით, მადლიერებითა და ამავე დროს საოცარი ტკივილით, დაადასტურა კანონზომიერება, რომ, სამწუხაროდ, ადამიანები მიდიან, მაგრამ რჩება მათი სულის სინათლე და სიმაღლე.

სალიმა ჩიაევა,
საქინფორმის კორ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

ახმეტის რაიონის განათლების დარგის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, სისტემის რეფორმირებაში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ახმეტის რაიონის განათლების დარგის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

ოლია ბორჩაშვილი — სოფელ ბირკიანის საშუალო სკოლის დირექტორი; **დეზდემონა თავაძე** — სოფელ საკობიანოს საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი; **ვანო მარგოშვილი** — სოფელ დუისის საშუალო სკოლის დირექტორი; **რახმად მარგოშვილი** — სოფელ დუისის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე; **ელენე მუთოშვილი** — სოფელ ჯოყოლოს საშუალო სკოლის მასწავლებელი; **ლალი სვიაკაური** — სოფელ ჯოყოლოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში.

ღირსების მედლით:

ლია მაისურაძე — სოფელ საკობიანოს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი; **ეთერ მარგოშვილი** — სოფელ ჯოყოლოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე; **ელო ქავთარაშვილი** — სოფელ დუისის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი

ალაბალი ხეირხაბაროვის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ქართული ენის შესწავლასა და საქართველოს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობისათვის საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოს აზერბაიჯანული საშუალო სკოლის დირექტორი **ალაბალი ხეირხაბაროვი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

თემურ მარგოშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახმეტის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მოსახლეობის მშვიდობიანი თანაცხოვრების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეურნეო, ორგანიზაციული და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სააქციო საზოგადოება „სოფლტექსერვისის“ დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი თემურ მარგოშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

აჭარა

ხვალინდელი დღის იმედითა და რწმენით

სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ყოველი პატიოსანი ქართველის მსგავსად, აჭარის მთისა და ბარის მცხოვრებნი კმაყოფილებით შეხვდნენ ახალი პოლიტიკური მოძრაობის — „ახალი საქართველოსათვის“ დაფუძნებას, განსაკუთრებულ ენთუზიაზმს იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ახალ გაერთიანებას თვით ქვეყნის პრეზიდენტი ჩაუდგა სათავეში.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელი ახალქართული სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობის ამ მოვლენამ განაპირობა ის ერთსულოვნება, რითაც წარიმართა სმკ-ის ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის რაიონული და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების კონფერენციები, 8-10 აპრილს რომ მოეწყო.

დელეგატები, რომელთა შორის ბევრი იყო ახალი და, რაც მეტად სასიხარულოა, ახალგაზრდული სახეები, ადრინდელზე მეტი სითამამით და გაბედულებით, გულწრფელად და უშუალოდ საუბრობდნენ ქვეყნისა და ავტონომიური რესპუბლიკის, მშობლიური ქალაქის, სოფლისა და რაიონის პრობლემებზე, გამოთქვამდნენ კრიტიკულ შენიშვნებსაც, აყენებდნენ საქმიან წინადადებებს, რომელთა განხორციელება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, ხოლო მათს ახლანდელ ყოფას მნიშვნელოვნად შეეხებოდა.

რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე, ვინ იცის მერამდენედ, მწვავედ გააკრიტიკეს სმკ-ის ცენტრალური ოფისი, განსაკუთრებით ძველი ე. წ. ხელმძღვანელობა, რომელიც ყოველნაირად აფერხებდა აჭარაში პარტიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას და განმტკიცებას, ხელს უშლიდა მათს ნორმალურ ფუნქციონირებას.

სამართლიანი კრიტიკის მთავარი ობიექტი, სრულიად კანონზომიერად, იყო აჭარის ხელისუფლება. დელეგატები დაუფარავი გულისტკივილით, ბევრი აღშფოთებითაც, გაკვირვებას, სინანულს, გულისწყრომას გამოთქვამდა იმის გამო, რომ აჭარის ხელისუფლება განაგრძობს სიცრუისა და სიყალბის, თვალის ახვევის, მოჩვენებითობის და შავის თეთრად გასაღების, ადამიანების დაშინება-შანტაჟის, თავისთვის არასასურველ პირთა დევნა-შევიწროების „პოლიტიკას“.

ბათუმის მოქკავშირელთა თავყრილობაზე გამოითქვა სურვილი — აღინუსხოს და პრესაში (რა თქმა უნდა, არა ადგილობრივში, რამდენადაც ეს მიუღწეველია!) გამოქვეყნდეს ის მკვეხარა დაპირებები, რომლებითაც ავტონომიის ხელმძღვანელობა განვლილ ათ-თორმეტ წელიწადში კვებავდა მოსახლეობას და, რომლებიც, ყველასათვის ნათელია, არ შესრულებულა!

კატეგორიულად დაისვა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განიავება-განადგურების საქმის ბოლომდე და პრინციპულად გამოძიების მოთხოვნა, ხაზგასმით აღინიშნა პარლამენტში თეზ-ის კანონპროექტის განხილვის სრული უსაფუძვლობა, ასეთი ზონის შექმნა ქვეყანას ათ მილიარდ დოლარს მისცემსო, ამტკიცებენ პოპულისტი დემაგოგები. სად არის ის 370 მილიონი დოლარი, რაც, თითქოს ბათუმის საბორნე გადასასვლელის ექსპლოატაციას უნდა მოეტანა? — არცთუ ირონიის გარეშე კითხულობდნენ ორატორები.

საქალაქო კონფერენციაზე წამოყენებულ წინადადებებს შორის იყო ერთმანეთისგან ისეთი დიამეტრულად განსხვავებული, როგორიცაა: ბათუმიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გატანის დაჩქარება და ნავსადგურის კაპიტნის სამსახურის შენობისთვის თავისი ფუნქციის დაბრუნება, ბეჭდვითი ორგანოს დაარსება და ქალაქის წყალმომარაგების სასწრაფოდ გაუმჯობესება, ქუჩებისა და სხვა კომუნიკაციების, საერთოდ, სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი მთელი საქალაქო მეურნეობის მოწესრიგება.

მაღალმთიანი აჭარის მკვიდრნი თავიანთ შეკრებებზე მოითხოვდნენ მასწავლებლებისათვის მომატებული ხელფასების გაცემას, ბათუმი-ახალციხის ავტომაგისტრალის გარემონტებას, საღამოს საათებში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის აჭარის ტელევიზიის მიერ მეგობრული წესით დაკავების აღკვეთას, თუნდაც შეზღუდული კონტინგენტის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე და სხვა ობიექტებზე დასაქმებას, საერთოდ მეტ ყურადღებას პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობისაგან და ა. შ.

კონფერენციებზე აირჩიეს სმკ-ის აჭარის სამხარეო ორგანიზაციის მესამე კონფერენციის დელეგატები.

სმკ-ის აჭარის სამხარეო ორგანიზაციის პრესსამსახური.

განსახილველად

საქართველოს პარლამენტს

საინფორმაციო ბარათი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების კანონპროექტთან დაკავშირებით

წარმოდგენილია საქართველოს კონსტიტუციის 102 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციის ზოგადი გადასინჯვის უფლებით

კონსტიტუციის ზოგადი გადასინჯვის კანონპროექტი ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს, ზოგად დებულებებსა და ადამიანის უფლება-თავისუფლებათა კონსტიტუციურ ნორმებში, ასევე მკვეთრად ცვლის დღეს არსებულ, მაგრამ პარალიზებულ, კატასტროფულსა და კრიზისში შესულ სახელმწიფო მმართველობის მთლიან სისტემას. იგი სრულიად ეყრდნობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აღიარებულ პრინციპებს, ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციას, მსოფლიო ცივილიზებულ საკონსტიტუციო პრაქტიკას.

ზოგადი დებულებები

ქართული სახელმწიფოს სახელწოდებად გათვალისწინებულია „საქართველოს რესპუბლიკა“, აფხაზეთში გაუქმებულია აფხაზური ენის სახელმწიფო სტატუსი, ხოლო აფსუების ენა მიჩნეულია ოფიციალურ ენად. ამ ცვლილებათა შეტანა გარდაუვალია იმისთვისაც, რომ ქვეყანას სხვადასხვა ექსპერტებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავზე არ მოახვიონ მიუღებელი მკვეთრად ფედერაციული ან დამღუპველი კონფედერაციული მოდელი, რისი მცდელობაც მომავალში უფრო გაძლიერდება. ორი სახელმწიფო ენის – ქართულის და აფხაზურის დაფიქსირებაც კონსტიტუციაში ხელშემწყობი ფაქტორია შორს მიმავალი დამანგრეველი შედეგებით, რადგან სხვა რეგიონებშიც ეთნიკურმა ჯგუფებმა შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაში მოითხოვონ იგივე სტატუსი მათი ენისათვის. ამასთან, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ცნობილი ნაწილი თავის თავს უწოდებს აფსუას, ხოლო ენას აფსუურს, რისი იგნორირების უფლებაც არა გვაქვს, ამრიგად, ეს ენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დარჩება ოფიციალურ სამუშაო ენად და არა ქართულთან გათანაბრებულ სახელმწიფო ენად. ისიც აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე სეპარატისტების მიმართ გატარებულმა სახელმწიფო მლიქვნელობის პოლიტიკამ არანაირი შედეგი არ მოგვცა და არც მომავალში გამოიღებს რაიმე ნაყოფს.

აღნიშნულ კანონპროექტში შემოსულია ნორმა, რომლის თანახმადაც სტრატეგიული სიმდიდრეები და დარგები ექვემდებარება სახელმწიფო მონოპოლიას, მათ შორის ადრე გასხვისებულის, უკან დაბრუნებას.

თავი მეორე

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თავიდან არ არის ამოღებული არც ერთი ნორმა, სანაცვლოდ მას დაემატა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ანტიკორუფციული პრინციპები, რომელთა გარეშეც კონსტიტუციური გარანტიები დღემდე ქაღალდზე იყო დარჩენილი.

კერძოდ, დადგენილია ადამიანისათვის საარსებო მინიმუმის გაცემის აუცილებლობა, მათ შორის უმუშევრისთვისაც, ამასთან, საარსებო მინიმუმი არ ექვემდებარება დაბეგვრას, გარანტირებულია მოქალაქისათვის უფასო სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლება, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

უაღრესად მნიშენელოვანი ანტიკორუფციული ეფექტი აქვს ახალ კონსტიტუციურ ნორმებს, რომელთა თანახმადაც მოქალაქეებს უფლება ეძლევათ მიმართონ სასამართლოს ნებისმიერი პოლიტიკური გაერთიანების ან პოლიტიკური მოღვაწის წინააღმდეგ და მოითხოვონ მისთვის ამ საქმიანობის სამუდამოდ ან დროებით აკრძალვა, თუ აღნიშნულ სუბიექტთა საქმიანობამ საზოგადოებისათვის გამოიწვია მძიმე შედეგები.

ასევე კონსტიტუციურად იკრძალება ნათესავების ურთიერთდაქვემდებარებით სახელმწიფო სამსახურში მუშაობა და ურთიერთდაქვემდებარების გარეშეც, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ლახავს სახელმწიფო ან კონკრეტულ პირთა კანონიერ ინტერესებს, ამასთან, სახელმწიფო მოსამსახურეს სასამართლოს მიერ აეკრძალება მუშაობა, თუ დადგინდა, რომ მის თანამდებობას მისივე ხელშეწყობით კონკრეტული პირები იყენებენ პირადი უკანონო მიზნებისათვის. სახელმწიფო მოსამსახურეებს ეკრძალებათ უცხოეთის ბანკებში ანგარიშების გახსნა. შემოსული გრანტები და ფინანსური დახმარებები ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო რეესტრში გატარებას.

თვისობრივად ახალია და ეყრდნობა ცივილიზებული ევროპის გამოცდილებას კონსტიტუციური ნორმები სასამართლოში მოქალაქის დაცვის ხარისხის მკვეთრად შესაცვლელად.

კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს (ადვოკატი, მოწმე, ექსპერტი და სხვა) საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს ხარჯზე გამოეყოფა დაცვა, თუ დაზარალებულს დამნაშავემ ვერ აუნაზღაურა მიყენებული მატერიალური ზარალი, აღნიშნულის კომპენსაცია ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

არსებითია ისიც, რომ ადამიანის უფლებადაცვითი საქმიანობა თავისუფლდება სახელმწიფო რეგულირებისაგან, აგრეთვე გადასახადისაგან. დემოკრატიის კუთხით დიდი მიღწევაა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პატიმრებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

საჭიროების შემთხვევაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და მათი წარმომადგენლების დაცვას, უსაფრთხოებას, თავის თავზე იღებს სახელმწიფო.

არსებითია, რომ ცვლილებების მიღების შემდეგ სახელმწიფო უკვე კონსტიტუციურად აღიარებს მოტყუებული მეანაბრეებისა და სხვა კატეგორიის მოქალაქეებისათვის ქონების დაბრუნების ვალდებულებას რეალური კურსით ორგანული კანონით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ვადებში.

პარლამენტი

საქართველოს პარლამენტი შედგება ორი პალატის – რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან. პირველი აირჩევა პროპორციული სისტემით, ხოლო მეორე – მაჟორიტარულით ტერიტორიული ერთეულებიდან, დეპუტატთა რიცხვი 235-იდან მცირდება 120-მდე.

მხოლოდ რესპუბლიკის საბჭო უმრავლესობით ქმნის მთავრობას - მინისტრთა კაბინეტს და ამტკიცებს ბიუჯეტს. ყველა სხვა თანამდებობის პირის დამტკიცების პრეროგატივა სენატის უფლებაა. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში გათვალისწინებულია მინისტრთა კაბინეტის ვადამდე გადაყენება და რესპუბლიკის საბჭოს ვადამდე დათხოვა.

დეპუტატები არ სარგებლობენ იმუნიტეტით სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისას. ამასთან პროპორციული სიით გასული დეპუტატი შეიძლება გამოიწვიოს თავისმა წარმდგენმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩეული – ამომრჩეველმა. ეს მკვეთრად ზრდის დეპუტატის პერსონალური პასუხისმგებლობის ხარისხს, აცილებს მას კორუფციის ჭაობში ჩავარდნას და დაუსჯელობის პერსპექტივას, რაც ამჟამად გარანტირებულია და რაც გახდა სახელმწიფოს ნგრევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. აღსანიშნავია, რომ მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება კვლავ რჩება პარლამენტის კომპეტენციაში.

პრეზიდენტი

მკვეთრად შეცვლილია პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, მას აღარ შეუძლია ერთპიროვნულად შექმნას მთავრობა, დანიშნოს და გაანთავისუფლოს მინისტრები. პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობის ვადა 5 წლიდან შემცირებულია 4 წლამდე. ამასთან, პრეზიდენტს რჩება რეალური ბერკეტები, შესრულოს არბიტრის როლი სახელმწიფო შტოებს შორის. მთავრობის გამოკლებით, დანიშნოს, წარადგინოს და გაანთავისუფლოს ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოს და სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელები. პრეზიდენტის პრეროგატივაა კანონებზე ხელის მოწერა, იგი არის სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი, ქვეყნის წარმომადგენელი საშინაო და საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

მინისტრთა კაბინეტი

საქართველოს მთავრობა – მინისტრთა კაბინეტი არის გუნდური პოლიტიკური პასუხისმგებლობის ორგანო, რომელიც იქმნება რესპუბლიკის საბჭოს საპარლამენტო უმრავლესობისაგან. მინისტრთა კაბინეტი ექვემდებარება გადადგომას თუ რესპუბლიკის საბჭომ გამოუცხადა უნდობლობა, ან არ დაამტკიცა წარმოდგენილი ბიუჯეტი. აკრძალულია სამინისტროების გარეთ აღმასრულებელ სტრუქტურებში დეპარტამენტების, სამმართველოების, კომისიების და დანაყოფის შექმნა.

ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა თვითმმართველობა

კონსტიტუციით განისაზღვრება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი. კონსტიტუციის მე-3 მუხლით ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებული კომპეტენცია რჩება უცვლელი, რაც ქართული სახელმწიფოს მდგრადობის გარანტიაა.

ქვეყნის ტერიტორია ავტონომიების გარდა, დაყოფილია 27 პრეფექტურად, რომელიც შეიქმნება ორგანული კანონით არსებული რაიონების გამსხვილების ხარჯზე. უქმდება ქვეყნის სამხარეო დაყოფა და ე. წ. გუბერნიები.

პრეფექტურის ხელმძღვანელს – პრეფექტს აირჩევს მოსახლეობა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით, აირჩევა პრეფექტურის საბჭო პროპორციული სისტემით, 20 წევრის შემადგენლობით. პრეფექტურა ამტკიცებს თავის ბიუჯეტს. პრეფექტის და პრეფექტურის საბჭოს ვადამდე დათხოვნის უფლება ენიჭება პრეზიდენტს, თუ ამ პირთა და ორგანოების საქმიანობამ მიიღო აშკარად ანტიკონსტიტუციური ხასიათი. ეს ნორმა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და უსაფრთხოების რეალური გარანტიაა.

საარჩევნო სისტემა

აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს კონსტიტუციის ახალი თავი, რომლის თანახმადაც საარჩევნო კომისიებში შედიან არჩევნებში მონაწილე პარტიათა თითო წარმომადგენელი, რაც თავიდან აგვაცილებს მომავალში დღევანდელივით ხელისუფლების უზურპაციის საშიშროებას, ამასთან, საარჩევნო კომისიებს ევალებათ მხოლოდ არჩევნების ორგანიზაცია და შედეგების შეჯამება, რასაც ამტკიცებს შესაბამისი სასამართლო ინსტანცია.

სასამართლო ხელისუფლება

უქმდება პრეზიდენტის და ხელისუფლების ადვოკატურა, რომელსაც ეწოდება საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია გადაეცემა უზენაეს სასამართლოს და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის სფეროში საერთო სასამართლოებსაც, როგორც ცნობილია მოქალაქის სარჩელის განხილვას კონსტიტუციის მეორე თავთან დაკავშირებით დღევანდელ საკონსტიტუციო სასამართლოში სჭირდება რამდენიმე წელი, ამრიგად, აღნიშნული უფლების განხორციელება საერთო სასამართლოში გახდება ეფექტიანი.

უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება მოხდება პარიტეტულ საწყისებზე, პრეზიდენტის, რესპუბლიკის საბჭოს და სენატის მიერ.

პროკურატურას ენიჭება მმართველობისა და თვითმმართველობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების კანონიერების შემოწმების უფლება სასამართლოში წარსადგენად იმ საკითხებზე, თუ რამდენად შეესაბამება აქტები საქართველოს კონსტიტუციას. ეს იქნება ქვეყნის ერთიანი სამართლებრივი სივრცის რეალურად დაცვის ბერკეტი.

წინასწარი გამოძიება გამოეყოფა პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სამინისტროს, იქმნება გამოძიების რესპუბლიკური ბიურო, რომლის ხელმძღვანელსაც დაამტკიცებს სენატი. ეს გამორიცხავს უწყებრივ ზეწოლას, კორუფციას და სამართლიანობის ერთ-ერთი ინსტიტუციონალური გარანტი იქნება.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში უქმდებაუშიშროების სამინისტრო, რომლის ბაზაზეც სახელმწიფო ორგანოს სახით დაზვერვის დეპარტამენტის, სამთავრობო დაცვის და სხვა შესაბამისი სტრუქტურების შეერთებით იქმნება რესპუბლიკური, ცენტრალიზებული სახელმწიფო უშიშროების გენერალური სამსახური, რომლის დირექტორსაც პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს სენატი.

გადამწყვეტია ის გარემოება, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით არსებითად შეცვლილია სახელმწიფო მოწყობის მთელი ვერტიკალი, შემოღებულია ახალი ურთიერთმაკონტროლებელი დაბალანსებული, კრიზისისაგან განმუხტვის განსხვავებული მოდელი, რის გამოც მსოფლიო საკონსტიტუციო პრაქტიკის საფუძვლებზე გარდაუვალია ამ წლის ბოლოს, 25 ნოემბერს, ახალი პრეზიდენტის, ახალი პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოთა არჩევნები. ეს იქნება საქართველოს სინამდვილეში ხელისუფლებისა და სახელმწიფო სისტემის მშვიდობიანად, ხავერდოვნად შეცვლის პირველი პრეცედენტი.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი არსებითი ცვლილებების მიუხედავად, შენარჩუნებულია კონსტიტუციის ჩონჩხი, მას დაემატა მხოლოდ ორი ახალი თავი საარჩევნო სისტემისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ, შედგება ის 11 თავისა და 113 მუხლისაგან.

საინიციატივო ჯგუფის სახელით

შალვა ნათელაშვილი,
საქართველოს ლეიბორისტული (შრომის)
პარტიის თავმჯდომარე.

პროექტი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“

***საქართველოს** პარლამენტი ადგენს: საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:*

თავი პირველი

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქართული სახელმწიფოს სახელწოდებაა საქართველოს რესპუბლიკა.“

მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ტერიტორიულ სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრულია ამ კონსტიტუციით და ორგანული კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე.“

2. მეოთხე მუხლის ტექსტი მთლიანად იქნას ამოღებული და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად;

„მუხლი 4

ქვეყნის სტრატეგიული სიმდიდრეები და დარგები არ ექვემდებარება გასხვისებას, ისინი რჩება სახელმწიფოს საერთო-სახალხო საკუთრებაში, სტრატეგიულ სიმდიდრეთა და დარგების რეგულირება ხდება ორგანული კანონით“

3. მუხლი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში ოფიციალურ ენად მიჩნეულია აგრეთვე იმ ხალხის ენა, რომლის თვითსახელწოდებაა „აფსუა“

თავი მეორე

4. 24-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„რეალური საფრთხის არსებობისას სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და მათი წარმომადგენლების დაცვას“.

5. 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა, ან მათში მოღვაწე პირთა საქმიანობის აკრძალვა დროებით თუ სამუდამოდ დაიშვება ორგანული კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ ორგანიზაციათა და პირთა საქმიანობას მოჰყვა მძიმე შედეგები. აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს შეუძლია მიმართოს როგორც მოქალაქემ, ასევე ყველა დაინტერესებულმა ორგანომ.“

6. მუხლი 28-ის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედითუუნაროდ“

7. 29-ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები:

„იკრძალება ნათესავების ურთიერთდაქვემდებარებით მუშაობა სახელმწიფო სამსახურში და აგრეთვე მათი მუშაობა ურთიერთდაქვემდებარების გარეშეც თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარმა ურთიერთობამ მოიტანა ან შეიძლება მოიტანოს უარყოფითი საზოგადოებრივი შედეგები. სახელმწიფო სამსახური აეკრძალება პირს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით ადგილი აქვს სხვა პირების მიერ პირადი გამორჩენისა და უკანონო შემოსავლების მიღებას.

4. სახელმწიფო მოსამსახურეს ეკრძალება უცხოეთის ბანკებში ანგარიშის გახსნა, აგრეთვე უცხოეთში უძრავი ქონების შეძენა.

5. დასახელებულ საკითხებზე სასამართლოს შეუძლია მიმართოს, როგორც მოქალაქემ ასევე სახელმწიფო ორგანომ.

8. მუხლი 32 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო იღებს ზომებს უმუშევრად დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების დასაქმებისათვის. უმუშევრის სტატუსის მიკუთვნებისას მოქალაქეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა საარსებო მინიმუმი.

2. მინიმალური ხელფასის დაბეგვრა დაუშვებელია. ხელფასი, პენსია და სხვა სახის კომპენსაცია არ შეიძლება იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები.“

9. 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ხარჯზე. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში აირჩიონ სწავლების ალტერნატიული, ფასიანი ფორმა.“

10. 37 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყველას აქვს უფლება სახელმწიფო ხარჯზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით სარგებლობისა. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია სხვა სახის უფასო სამედიცინო დახმარებაც. გარანტირებულია ჯანმრთელობის დაზღვევის შესაბამისი ფორმით სარგებლობაც.“

11. მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. რეალური საფრთხის ნიშნების შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს სახელმწიფო ხარჯზე გამოეყოფათ დაცვა და შეექმნებათ პირობები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

5. დამნაშავისაგან მოქალაქეებისადმი მიყენებული ზარალის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ზარალის კომპენსირება.“

12. 42-ე მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„ანალოგიური წესი ვრცელდება მეანაბრეებზე და სხვა კატეგორიის მოქალაქეებზე, რომლებმაც დაკარგეს ქონება სახელმწიფოს ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე. აღნიშნული ზარალის კომპენსაცია ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით და ვადებში, ამ ქონების მიბარებისას არსებული კურსით.“

13. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ადამიანის უფლებადაცვით სფეროში საქმიანობა თავისუფალია, სახელმწიფოს მიერ მისი რაიმე ფორმით რეგულირება ან შეზღუდვა აკრძალულია. აღნიშნული საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ იბეგრება.“

თავი მესამე

14. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ქმნის მთავრობას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ახორციელებს ორგანული კანონითა და რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს“

15. 49-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული ორი პალატის – რესპუბლიკის საბჭო და სენატისაგან.

2. რესპუბლიკის საბჭო აირჩევა პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით 70 დეპუტატისაგან.

3. სენატი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით 5 წლის ვადით 50 დეპუტატისაგან.

4. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

5. პარლამენტის, პალატების უფლებამოსილება, სტრუქტურისა და მუშაობის წესი განისაზღვრება ამ კონსტიტუციით, ორგანული კანონით პალატების შესახებ და რეგლამენტით.“

16. 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება ამ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის, რომლებმაც პროპორციული სისტემით არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს, საარჩევნო ბლოკისათვის ეს ზღვარი შეადგენს 7 პროცენტს.“

17. 52-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, მისი გაწვევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო პროპორციულ სიაში მისმა წარმდგენმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, საარჩევნო ბლოკმა ან ადგილობრივ რეფერენდუმზე საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა მხარი დაუჭირა დეპუტატის გამოწვევის ინიციატივას.

2. პარლამენტის წევრი არ სარგებლობს სრული იმუნიტეტით. დაუშვებელია პარლამენტის წევრის დაკავება, დაპატიმრება, გაჩხრეკა პარლამენტის სხდომათა დარბაზში, გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევისა.“

18. 53-მუხლს 1 პუნქტს დაემატოს ახალი აბზაცი:

„რესპუბლიკის საბჭოს წევრს შეიძლება ეკავოს პრემიერ-მინისტრის, ან მთავრობის წევრის თანამდებობა.“

19. 54-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს ან ცნობად იღებს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.

2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე ავტომატურად შეუწყდება, რასაც პალატა ცნობად იღებს თუ:

ა) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ბ) სასამართლომ ცნო ქმედითუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

გ) გარდაიცვალა;

დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა;

ე) პროპორციულ სიაში თავისმა წარმდგენმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ან ბლოკმა გამოიწვია;

ვ) ადგილობრივ რეფერენდუმზე მიღებული შედეგებით ამომრჩევლებმა გამოიწვიეს პარლამენტიდან.

3. პალატის გადაწყვეტილებით პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება თუ;

ა) პირადი განცხადებით მოიხსნა უფლებამოსილება;

ბ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ უღირს საქმიანობას;

გ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

დ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში.“

20. 55-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რესპუბლიკის საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადით ორგანული კანონითა და რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს და ორ მოადგილეს.

სენატი ამავე წესით ირჩევს სენატის პრეზიდენტს და ორ ვიცე-პრეზიდენტს შესაბამისად აჭარიდან და აფხაზეთიდან არჩეულ სენატორთა შემადგენლობიდან.

2. რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე და სენატის პრეზიდენტი უძღვებიან პალატების მუშაობას, უზრუნველყოფენ აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერენ პალატათა მიერ მიღებულ დადგენილებებს, ასრულებენ ორგანული კანონით და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სენატის ვიცე-პრეზიდენტები ასრულებენ პალატის ხელმძღვანელთა მოვალეობებს მათივე დავალებით, პალატათა ხელმძღვანელთა მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან თანამდებობიდან მათი გადაყენების შემთხვევაში.

4. პალატათა ხელმძღვანელები რეგლამენტით გათვალისწინებული წესით და ფარგლებში ახორციელებენ სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პალატათა შენობაში“.

21. 56-ე მუხლში სიტყვა „პარლამენტი“ ყველგან შეიცვალოს სიტყვა „პალატებით“, ამავე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. პარლამენტის პალატებს ერთობლივ საკითხებზე პარიტეტული წესით თანათავმჯდომარეობის პრინციპით შეუძლიათ შექმნან ერთობლივი საგამოძიებო, შემთანხმებელი ან სხვა სახის დროებითი კომისიები.“

22. 57-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პალატების მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება რესპუბლიკის საბჭოს კოლეგია და სენატის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან პალატების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, კომიტეტის თავმჯდომარეები. საბჭოს კოლეგიის შემადგენლობაში შედიან საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. კოლეგია და ბიურო შეიმუშავებს პალატათა დღის წესრიგს, იხილავს ორგანიზაციულ, ორგანული კანონითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებს.

3. პალატების საერთო კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა განხილვისათვის ტარდება კოლეგიის და ბიუროს ერთობლივი სხდომა.“

23. 58-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი;

„3. სენატში ფრაქციების შექმნა დაუშვებელია.“

24. მე-60 მუხლში სიტყვა „პარლამენტი“ ყველგან შეიცვალოს „პალატებით“

25. 61-ე მუხლის I პუნქტის პირველი წინადადება შეიცვალოს შემდეგი სიტყვებით:

„საქართველოს პარლამენტის პალატები – რესპუბლიკის საბჭო და სენატი თავის უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ.“

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის დასაწყისი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს პრეზიდენტი რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, სენატის პრეზიდენტის, პალატის დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით“

26. 62-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 62.

პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო სიტუაციის ან საომარი მდგომარეობისას და კონსტიტუციის 46 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პალატის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“

27. 63-ე მუხლის 1, 2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს სენატის ან რესპუბლიკის საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს.

2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები ან კონსტიტუციის დარღვევა პარლამენტის ორივე პალატა კენჭისყრაზე სვამს იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხს.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა თითოეული პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.“

28. 63-ე მუხლის 1, 2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოს პრეროგატივაა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით საქართველოს მთავრობის, მინისტრთა კაბინეტის შექმნა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება. ბიუჯეტის პროექტს პარლამენტში წარადგენს პრემიერ-მინისტრი.

თუ რესპუბლიკის საბჭომ ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ ვერ შესძლო მინისტრთა კაბინეტის ან სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, პრეზიდენტი დაითხოვს რესპუბლიკის საბჭოს და 60 დღის თავზე ნიშნავს ვადამდელ არჩევნებს.

2. თუ რესპუბლიკის საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა პრემიერ-მინისტრს, მინისტრთა კაბინეტს, მინისტრს, ისინი ითვლებიან გადამდგარად. რესპუბლიკის საბჭოს შეუძლია გააუქმოს მასდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტები.

3. სენატი კონსტიტუციით და ორგანული კანონით დადგენილი წესით პრეზიდენტის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს, სახელმწიფო უშიშროების გენერალური სამსახურის დირექტორს, გამოძიების რესპუბლიკური ბიუროს თავმჯდომარეს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს, სახალხო დამცველს.

4. კონსტიტუციის დარღვევისას, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით ამ მუხლის მე-3 პუნქტში დასახელებულ თანამდებობის პირთა გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს სენატის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

5. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით სენატი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის 4-ე პუნქტის მოქმედება.“

29. 65-ე მუხლის 1 პუნქტში ნაცვლად სიტყვა „პარლამენტის“ ჩაემატოს:

„რესპუბლიკის საბჭო და სენატი“

ამავე მუხლის მე-4 პუნქტში სიტყვები „საკონსტიტუციო სასამართლო“ შეიცვალოს სიტყვებით „უზენაესი სასამართლო“

30. 66-ე მუხლში სიტყვები „პარლამენტი“ შეიცვალოს სიტყვებით „პალატა“

31. 67-ე მუხლის 1 პუნქტში სიტყვები „საქართველოს პრეზიდენტს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „პრემიერ - მინისტრს“. მეორე პუნქტის სიტყვების „საქართველოს პრეზიდენტის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან პრემიერ - მინისტრის“

ამავე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. კანონპროექტის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოში. მიღებული კანონპროექტი 3 დღის ვადაში გადაეცემა სენატს.

სენატი ორგანული კანონით და რეგლამენტით განსაზღვრული წესით 10 დღის ვადაში ან ადასტურებს კანონპროექტს და გადასცემს პრეზიდენტს ხელმოსაწერად ან შენიშვნებით უბრუნებს რესპუბლიკის საბჭოს. სენატს არ გააჩნია კანონპროექტში ცვლილებათა და დამატებების შეტანის უფლება.“

32. 68-ე მუხლის სიტყვები „პარლამენტი“ შეიცვალოს სიტყვებით „პალატა“

ამავე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს სენატის პრეზიდენტი.“

თავი მეოთხე

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობა

33. 69-ე მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო სტრატეგიულ პოლიტიკას“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

34. 70-ე მუხლის 1 პუნქტში სიტყვები „5 წლის ვადით“ შეიცვალოს სიტყვებით „4 წლის ვადით“.

35. 73-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სენატის თანხმობით ნიშნავს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს.“

„გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გაანთავისუფლოს ისინი“.

„დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იღებს პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის, მინისტრების და სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას. უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრს, მინისტრთა კაბინეტს, მინისტრებს

იხ. მე-4 გვ.

განსახილველად

პროექტი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ"

(მესამე გვერდიდან)

დააკისროს თანამდებობრივი მოვალეობათა შესრულება ახალი მთავრობის შექმნამდე."

„ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) რესპუბლიკის საბჭოში საპარლამენტო უმრავლესობის რეკომენდაციით წარუდგენს რესპუბლიკის საბჭოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.".

ამავე მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვა „აღმასრულებელი"

36. 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კონსტიტუციის დარღვევა, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის, აგრეთვე სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.".

37. 76-ე მუხლის 1 პუნქტი სიტყვების „პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს" შემდეგ ჩამოყალიბდეს ამ რედაქციით „სენატის პრეზიდენტი, თუ ამის საშუალება არ არის რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას შესაბამისად ასრულებენ პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, თანამიმდევრობა დგინდება ორგანული კანონით.".

38. 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას-მთავრობას წარმოადგენს მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი.

მინისტრთა კაბინეტი შედგება პრემიერ-მინისტრის, პირველი მოადგილის და მინისტრებისაგან, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს თორმეტს.

2. რესპუბლიკის საბჭოს არჩევიდან 10 დღის განმავლობაში საპარლამენტო უმრავლესობის რეკომენდაციით პრეზიდენტი წარუდგენს რესპუბლიკის საბჭოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, რომელიც თავის მხრივ პალატას წარუდგენს პირველი მოადგილის და მინისტრების კანდიდატურებს. მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება ხდება ერთდროულად სრული შემადგენლობით, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში.

3. მინისტრთა კაბინეტი ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია რესპუბლიკის საბჭოს წინაშე. მინისტრებს ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი, ახალი კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტს წარედგინება ორი კვირის ვადაში. დაუშვებელია ორჯერ ზედიზედ ერთი და იგივე კანდიდატურის წარდგენა.

4. პრემიერ- მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტი ითვლება გადამდგარად".

39. 78-ე მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მინისტრთა კაბინეტს, მთავრობის სტრუქტურას ამტკიცებს რესპუბლიკის საბჭო პრემიერ-მინისტრის წარდგინებით. დაუშვებელია სამინისტროების გარეთ რაიმე სტრუქტურის ჩამოყალიბება.".

40. 79-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მინისტრთა კაბინეტი, პრემიერ მინისტრი და მისი პირველი მოადგილე, მინისტრები უფლებამოსილებას იხსნიან რესპუბლიკის საბჭოს და პრეზიდენტის წინაშე."

•

41. მე-80 მუხლის 1 პუნქტს ბოლოს დაემატოს სიტყვები „გარდა რესპუბლიკის საბჭოს წევრობისა". ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-2 და მე-3 პუნქტები.

42. 81-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მინისტრთა კაბინეტი არის გუნდური პოლიტიკური პასუხისმგებლობის ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრთა კაბინეტი კანონის შესასრულებლად და აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის უზრუნველსაყოფად თავის სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებებს და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს დადგენილების სახით. მინისტრის მოადგილეები ინიშნებიან მინისტრის წარდგინებით პრემიერ-მინისტრის მიერ.

3. მინისტრთა კაბინეტის საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით „საქართველოს მთავრობის-მინისტრთა კაბინეტის შესახებ.".

თავი მეხუთე
სასამართლო ხელისუფლება

43. 83-ე მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო კონტროლისა და მართმსაჯულების განხორციელებაზე ზედამხედველობის ორგანოა საქართველოს უზენაესი სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.".

44. 88-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1. საქართველოს უზენაესი სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით დადგენილი საპროცესო ფორმით, ზედამხედველობს მართმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსახილველ საქმეებს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლო შედგება 30 მოსამართლისაგან, უზენაესი სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს ათ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ათ წევრს ირჩევს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით რესპუბლიკის საბჭო, ხოლო ათ წევრს ასევე სიითი შემადგენლობის ორი მესამედით ირჩევს სენატი. უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი.".

ამავე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში სიტყვები „საკონსტიტუციო სასამართლო" შეიცვალოს სიტყვებით „უზენაესი სასამართლო".

45. 89-ე მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის პალატების წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, გენერალური პროკურორის, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე კანონით დადგენილი წესით.".

ამავე მუხლის მე-2 პუნქტი სიტყვები „საკონსტიტუციო სასამართლო" შეიცვალოს სიტყვებით „უზენაესი სასამართლო".

46. 90-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოქალაქეს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებაში შეუძლია სარჩელი შეიტანოს საერთო სასამართლოებში ქვემდებარეობის მიხედვით.".

47. 91-ე მუხლის 1 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„ამოწმებს მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, შეაქვს შესაბამისი წარდგინება სასამართლო ორგანოებში.".

თავი მეექვსე
სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

48. 92-ე მუხლის 1 პუნქტის დასაწყისიდან „საქართველოს პარლამენტის" ნაცვლად ჩაიწეროს სიტყვები „რესპუბლიკის საბჭო".

ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში სიტყვების „პრეზიდენტის" ნაცვლად ჩაიწეროს „პრემიერ-მინისტრი".

49. 94-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. უცხოეთიდან ნებისმიერ სუბიექტზე შემოსული ფინანსური დახმარება და გრანტი ექვემდებარება საერთო-სახელმწიფო რეესტრში სავალდებულო საჯარო აღრიცხვას. ამ წესის დარღვევა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას, ხოლო თანხა ექვემდებარება ბიუჯეტში ჩარიცხვას.".

50. 96-ე და 97-ე მუხლებში სიტყვების „პარლამენტი" ნაცვლად ჩაიწეროს „სენატი".

51. 97-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წელიწადში ორჯერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის დროს, კონტროლის პალატა რესპუბლიკის საბჭოს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ სენატს თავისი საქმიანობის ანგარიშს".

ამავე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეგაქციით:

„5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება მხოლოდ კანონის შესაბამისად და კონტროლის პალატის სტრუქტურებში".

თავი მეშვიდე

თავი მერვე
ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, თვითმართველობა

52. „მუხლი 102.

საქართველოს რესპუბლიკა შედგება 27 პრეფექტურის, განსაკუთრებული სტატუსის მქონე დედაქალაქ თბილისის, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისაგან."

პრეფექტურები

1. „მუხლი 103.

1. პრეფექტურები წარმოადგენენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, ისინი თავიანთ ტერიტორიაზე ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის იმ ფუნქციებს, რაც კონსტიტუციითა და კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

2. პრეფექტურის ხელმძღვანელია – პრეფექტი, რომელიც აირჩევა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით მაჟორიტარული წესით პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.

3. პრეფექტურის წარმომადგენლობითი ორგანოა პრეფექტურის საბჭო, რომელიც აირჩევა პროპორციული სისტემით 20 წევრის შემადგენლობით.

4. პრეფექტურის საბჭო ამტკიცებს პრეფექტურის ბიუჯეტს, პრეფექტურის სამსახურების ხელმძღვანელებს.

5. საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია ვადამდე დაითხოვოს პრეფექტი და პრეფექტურის საბჭო თუ მათმა საქმიანობამ მიიღო ანტიკონსტიტუციური ხასიათი. ახალი არჩევნები ტარდება 40 დღის ვადაში.

6. პრეფექტურის სტატუსი პრეფექტის, პრეფექტურის საბჭოს არჩევის და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით."

მუხლი 104

1. თბილისის სტატუსი განსაზღვრულია ორგანული კანონით. თბილისის მერი აირჩევა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით, ხოლო საკრებულო პროპორციული სისტემით. საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით აირჩევიან, ასევე თბილისის 5 პრეფექტურის პრეფექტიც. მერიის სამსახურის და პრეფექტურების ხელმძღვანელებს ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

მუხლი 105

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ძირეული რგოლია ქალაქი, სოფელი, დაბა, თემი. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელს ქალაქის მერს, გამგებელს ირჩევს მოსახლეობა საყოველთაო კენჭისყრით. შესაბამისი საკრებულოები აირჩევა მაჟორიტარული პრინციპით, პოლიტიკური გაერთიანებებიდან წარმოდგენილ კანდიდატურებისაგან.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევის და უფლებამოსილების და კომპეტენციის საკითხები განსაზღვრულია ორგანული კანონით.

მუხლი 106

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა სახელმწიფო წარმონაქმნია საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს კონსტიტუცია, გერბი, დროშა, ჰიმნი.

2. რესპუბლიკის ხელმძღვანელია ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, რომელსაც ირჩევენ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა – პარლამენტი, რომელიც შედგება ორი პალატის რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან

მუხლი 107

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს კონსტიტუცია, გერბი, დროშა, ჰიმნი.

2. რესპუბლიკის მეთაური აირჩევა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით. აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა პარლამენტი, რომელიც შედგება ორი პალატისაგან, ქვედა პალატა – ერთიანობის საბჭო აირჩევა პროპორციული წესით, ზედა პალატა – სენატი მაჟორიტარული წესით. სენატის წევრთა სრული კონსენსუსის გარეშე დაუშვებელია აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოა მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს ორივე პალატა.

თავი მეცხრე
საარჩევნო სისტემა

მუხლი 108

1. ყველა დონის არჩევნების და რეფერენდუმების ჩატარება ევალება შესაბამისად ცენტრალურ, ავტონომიურ, პრეფექტურის, ქალაქის, სოფლის, დაბის და თემის საარჩევნო კომისიებს.

2. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შედის ყველა იმ პარტიის თითო წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობს შესაბამის არჩევნებში. კომისიები თვითონ ირჩევენ ხელმძღვანელ შემადგენლობას, მათ ევალებათ მხოლოდ არჩევნების ორგანიზაცია, ჩატარება და შედეგების შეჯამება.

3. საარჩევნო კომისიებს არ გააჩნიათ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება.

4. რეფერენდუმის, საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების შედეგებს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი სასამართლო. სხვა დონის არჩევნების და რეფერენდუმების შედეგებს ამტკიცებენ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოები.

5. არჩევნების და რეფერეხდუმის ჩატარების წესები განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

თავი მეათე
კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 109

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

ა) პრეზიდენტს;

ბ) რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) სენატს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

დ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება რესპუბლიკის საბჭოს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. განხილვა რესპუბლიკის საბჭოში იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს რესპუბლიკის საბჭოს ორი მესამედი სრული შემადგენლობით და სენატი ამავე რაოდენობით.

4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის საკონსტიტუციო კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 110

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი მეთერთმეტე
გარდამავალი დებულებები

მუხლი 111

1. საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები ძალაში შედის საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

2. ახალი პრეზიდენტის, პარლამენტის, პრეფექტების, მერების, გამგებლების, თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები ტარდება 2002 წლის 25 ნოემბერს.

მუხლი 112

1. 2002 წლის 1 აგვისტომდე მიღებულ უნდა იქნას ახალი საქართველოს ორგანული კანონი „არჩევნების შესახებ", საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მთავრობის – მინისტრთა კაბინეტის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პარლამენტის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონი „პრეფექტურების შესახებ".

2. 2003 წლის 1 ივნისამდე ყველა კანონი და ნორმატიული აქტი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კონსტიტუციაში შეტანილ შესწორებებთან.

მუხლი 113

1. კონსტიტუციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე ორგანული კანონის მიღებასთან დაკავშირებით სახელმწიფოზე დაბრუნებას ექვემდებარება ყველა ის სტრატეგიული სიმდიდრე და დარგი, რომლის გასხვისებაც მოხდა წინა პერიოდში.

2. სტრატეგიულ სიმდიდრეებში და დარგებში იგულისხმება: ენერგეტიკა, ნავთობპროდუქტების მოპოვება, ექსპორ-იმპორტი, ტრანზიტი. თამბაქოს ნაწარმის ექსპორტ-იმპორტი, ტრანზიტი. წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები, მძიმე მრეწველობა, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო ტრანსპორტი. საჰაერო, საზღვაო პორტები და სხვა".

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

ეს იყო...

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე"...

მედეა მეზვრიშვილმა სტუდენტებს უთხრა: „ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ ყველას გვინდა"...

70-იანი წლების სტუდენტ ახალგაზრდობას კარგად ახსოვს შრომითი სემესტრები, პროფესორ-მასწავლებლების თანხლებით გამგზავრება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ზოგი — დასავლეთში, ჩაის და ციტრუსის საკრეფად, ზოგიც — აღმოსავლეთში, მევენახეების დასახმარებლად. ერთ-ერთი იყო საგარეჯოს რაიონი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მასპინძლობდა. შრომითი სემესტრის მონაწილე ჩემი მეგობრებიდან ზოგი ისტორიულზე სწავლობდა, ზოგიც — ფილოლოგიურზე, ხშირად ვიხსენებ მათ ნაამბობს.

— საგარეჯოში ქარხნის საერთო საცხოვრებელში დავბინავდით. ვენახში სამუშაოდ ავტობუსებით დაგვყავდით, შრომას მიუჩვეველებს იმდენად მხიარულ ატმოსფეროში გვეხდებოდა მუშაობა, ხუმრობისა და ამ ასაკისთვის დამახასიათებელ ფონზე დაღლილობას ვერც ვგრძნობდით. ჩვენდამი ადგილობრივი მოსახლეობა დიდ ყურადღებას იჩენდა. ზოგი ღვინით და დედასპურებით გვაკითხავდა, ზოგიც — ხილით და ჩურჩხელებით. შაბათ-კვირას თბილისიდან მშობლები ჩამოდიოდნენ. ყველას უკვირდა, თქვენ აქ ისე კარგად ხართ მოწყობილი, ყურძნის კრეფას რომ დაამთავრებთ, იქნებ მერე მეძროხეობის ფერმაში გადაინაცვლოთო. ერთი სიტყვით, შრომაც იყო, დასვენებაც და სტუდენტური დროსტარებაც.

ყოველ ცისმარე დღეს საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელი **მედეა მეზვრიშვილი** ხან დილით მოსულებს დაგვხვდებოდა ვენახებში და ნამრომს შეგვიქებდა, ხან საღამოთი საერთო საცხოვრებელში შემოგვივლიდა, დაგვეხვეოდა: „ხომ არაფერი გიჭირთ ან ხომ არაფერი გჭირდებათო". ხან ხუმრობით გვეტყოდა „აი, ამ რთველს ჩავამთავრებ და მერე ყველა უნდა დაგაქორწინოთო. ზოგიც აქ უნდა დაგასახლოთო". ასეთი თბილი და ყურადღებიანი ურთიერთობა ყალიბდებოდა ქალბატონ მედეას და სტუდენტებს შორის, რომლებიც დღესაც დიდი პატივისცემით და სიყვარულით იხსენებენ მასთან ურთიერთობას, საგარეჯოში გატარებულ შრომითი სემეტრის დღეებს. არც მედეა მეზვრიშვილს უღალატია ამ სიყვარულისთვის.

ყველას გვახსოვს 1978 წლის 14 აპრილი, ხალხით აზვირთებული რუსთაველის პროსპექტი. მის ძირითად ბირთვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები შეადგენდნენ. საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე ახალი კონსტიტუცია და მასში საქართველოს სახელმწიფო ენის საკითხი იხილებოდა. მაშინ მედეა მეზვრიშვილმა დატოვა სხდომის დარბაზი და მომიტინგე აბობოქრებულ სტუდენტებთან ჩამოვიდა მათ დასაწყნარებლად და აუწყა: „ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ სუყველას გვინდა. დარჩება ქართული ენა სახელმწიფო ენად!"

ზოგი ტაშს უკრავდა, ზოგიც იძახოდა „არ გვჯერა, გვატყუებთ!". მაგრამ მერე მთელი რუსთაველის პროსპექტი ტაშის გრიალმა მოიცვა, როდესაც მოსკოვმა თავისი პოზიცია დათმო და სესიამ ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენად დაამტკიცა.

ეს დღე „ქართული ენის" დღედ იწოდება დღეს და ეროვნულ დღესასწაულად აღინიშნება.

მისი დამსახურებაა, რომ ეროვნულ დღესასწაულად დამკვიდრდა სახალხო დღესასწაული „გარეჯობა", მას მოჰყვა „ილიაობა", „გოგლაობა", „ფიროსმანობა" და სხვა მრავალი.

პირველი გარეჯობა 1976 წლის მაისში გაიმართა. „დავით გარეჯის" სახალხო უნივერსიტეტის დაფუძნება საზეიმო ცერემონიალით აღინიშნა და „დავით გარეჯის" სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა.

ენა ადვილად იტყვის ყველაფერს, მაგრამ რამდენი შრომა, ნერვიულობა და უძილო ღამეები უძღოდა ამას წინ, მედეა მეზვრიშვილის დარდი და ფიქრი გაპარტახებულ უდაბნოს ტერიტორიას დასტრიალებდა. დავით გარეჯის უნიკალურ არქიტექტურულ ძეგლს დრომ და ჟამმა თავისი კვალი დაამჩნია, ამას დაემატა უგუნურთა და არაკაცთა ხელით ძარცვა და ნგრევა, ფრესკების დაჩხაპნა, წმინდანთა თვალების დათხრა და შეურაცხყოფა. ზოგმა მწყემსმა სენაკები პირუტყვის სადგომად გაიხადა, საბჭოთა არმიის ჯარისკაცებმა კი — სამიზნედ, სწორედ დავით გარეჯის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა წლების განმავლობაში სატანკო ნაწილების სასწავლო წვრთნა, ტანკების გრუხუნით და აფეთქებებით გამოწვეულმა ვიბრაციამ უდიდესი ზიანი მიაყენა შუა საუკუნეების ამ უნიკალურ ძეგლს.

ბევრი მცდელობის შედეგად საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობამ მედეა მეზვრიშვილის თაოსნობით კვლავ დაიბრუნა გარდაბნის რაიონისთვის მიკუთვნებული უდაბნოს ტერიტორია, რომელიც 1960 წლამდე საგარეჯოს რაიონისა იყო. ამან უდაბნოს აღორძინება მოუტანა. ჩამოყალიბდა მსხვილი მეურნეობა: ნასოფლარს მოსახლეობა დაუბრუნდა. აშენდა საცხოვრებელი სახლები, გაიყვანეს სარწყავი და სასმელი წყლის სისტემები, ელექტრო და კავშირგაბმულობის გადამცემი ხაზები და, რაც მთავარია, სამანქანე გზები, რამაც საშუალება მისცა არქიტექტორ-რესტავრატორებს ძეგლის შესწავლა-გამაგრების სამუშაოებს შესდგომოდნენ, უფრო მასშტაბურად დაიწყო დავით გარეჯის უდაბნოს ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა. ყველაფერ ამას მედეა მეზვრიშვილი მოვალეობის გამო კი არ ასრულებდა, არამედ დიდი გრძნობითა და სიყვარულით.

დაისვა საკითხი გარეჯის ტერიტორიიდან სატანკო პოლიგონის გატანაზე, იმ პერიოდში ბრეჟნევის, სუსლოვის დროს, ასეთი განცხადება ნებისმიერი პარტიული თანამდებობის პირისათვის შეიძლება სავალალოდ დამთავრებულიყო. მიუხედავად ამისა, მედეა მეზვრიშვილმა ეს ნაბიჯი გადადგა. ეს მაშინ ქართველი ადამიანის მიერ პირველი ხმის ამოღება იყო რუსეთის ჯარის წინააღმდეგ, შეხვედრები ამიერკავკასიის ჯარების მაშინდელ სარდლობასთან, მოსკოვიდან გამოგზავნილ სამხედრო კომისიებთან; იმის მტკიცება, რომ დავით გარეჯი უნიკალურია თავისი არქიტექტურით, ფრესკებით თუ არქეოლოგიური აღმოჩენებით, ძვ. წ. II ათასწლეულის ნამოსახლარებით, რომ უდაბნოში აღმოჩენილია გაადამიანების გზაზე მდგარი პრიმატის ძვლები, რომელიც მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში „უდაბნოპითეკის" სახელით არის შესული და მაშინ ერთადერთი აღმოჩენა იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე... იმ პერიოდში მედეა მეზვრიშვილმა მოსკოვიდან დახმარებისთვის მოიწვია ქართველი მარშალი არჩილ გელოვანი და შეწყდა ტანკების სასწავლო წვრთნა. გარეჯის ტერიტორიაზე სიმშვიდემ დაისადგურა...

ვინც გარეჯობის დღესასწაულზე ყოფილა, ალბათ, დამეთანხმება, რომ ეს იყო ულამაზესი სანახაობა. დილიდანვე ასობით მანქანა და ავტობუსი გაბმული ძაფივით უდაბნოსაკენ მიემართებოდა, შესასვლელს ტრანსპარანტი ამშვენებდა: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!" იყო ხარის ტყავებზე დაწერილი ქართული ანდაზები და აფორიზმები, იდგა ძაფის სართავი ჯარა, იქსოვებოდა ხალიჩები, გაფიცხებულ თონეებთან პურის მცხობელები ფუსფუსებდნენ, იყო საქანელები, საჭიდაო მოედნები. ციხის ქონგურებზე კი აბჯროსანი და მუზოსანი მეციხოვნენი იდგნენ, თითქოს ჩვენი წინაპრები გვეგებებოდნენ. ამდენი ქართველი ერთად ამ მიწას, ალბათ, არც ენახა. ვის არ შეხვედრდით იქ: გამოჩენილ მეცნიერებს თუ მსახიობებს, მთავრობის წარმომადგენლებს, მწერლებს, პოეტებს, სპორტსმენებს, უცხოელ სტუმრებს, ყველა ფენის და რანგის ადამიანებს. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ ხალხური შემოქმედების თუ აკადემიურ ანსამბლებს. ახლაც მახსოვს თვალცრემლიანი ხალხი როგორ შეეგება ზაქათალის რაიონის სოფელ ალიბეგლოდან ჩამოსულ სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც საქართველოზე სიმღერით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. არც მათი მოწვევა დავიწყნია მაშინ ქალბატონ მედეას. მათი გულებიც გაახარა დავით გარეჯის გაცნობამ და ამ ლამაზმა სანახაობამ. ისინი ხომ ისეთივე საქართველოს შვილები არიან, როგორც ჩვენ ყველა. კონცერტზე კი ერთმანეთს ენაცვლებოდა სვანური „ლილე",მეგრული „ნანა", გურული კრიმანჭული, რაჭული გუდასტვირი, ლექსი, სიმღერა, ცეკვა. ყველაფერს ქართლ-კახური „მრავალჟამიერი" აგვირგვინებდა.

კონცერტის დამთავრების შემდეგ ზეიმი იქვე მორიახლოს მოწნულ-მოჩარდახებულ ფაცხებში გადაინაცვლებდა ხოლმე, სადაც სტუმრებს გულუხვი კახური გამასპინძლება ელოდა. გვიანობამდე არ ცხრებოდა ქართული სადღეგრძელოები, მრავალჟამიერი...

„გარეჯობა" თავისი შინაარსით და მასშტაბით ჭეშმარიტად სახალხო, ეროვნული ზეიმი იყო. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. ყველაფერ ამის მოთავე და სულისჩამდგმელი მედეა მეზვრიშვილი იყო, რომელიც არასოდეს ყოფილა მშრალი პარტოკრატი. მუდამ იყო შემოქმედი მოღვაწე ერისა და ხალხის სამსახურში. რამდენი საწარმო აამუშავა კახეთში და, კერძოდ, საგარეჯოს რაიონში. რამდენ ოჯახს დაუდგა გვერდში ბედნიერების თუ უბედურების ჟამს. პიროვნულად რამდენი ადამიანისთვის გაუწვდია დახმარების ხელი.

ვწერ ქალბატონ მედეას მოღვაწეობის იმ მცირე ნაწილს, რაც ვიცი და მინდა გავაცნო დღევანდელ ახალგაზრდა ჟურნალისტებს და პოლიტიკოსებს, უკვე ასაკოვანი ქალი, რომელსაც დიდი საქმეები უკეთებია ათეული წლების მანძილზე ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

* * *

და ბოლოს ერთს დავუმატებ: იმ დროს საქართველოს სათავეში ედუარდ შევარდნაძე იდგა.

ირაკლი ციციშვილი.

ადამიანი დროში

ცხინვალელი გრიქუროვების სევდა-სიხარულის ამბავი

მარტის ერთ ცრიატ დღეს ცხინვალში, მოსკოვის ქუჩაზე თავისი სახლისკენ მიმავალ სტეფანე გრიქუროვს შევხვდი. საუბარ-საუბარში ბევრი საინტერესო ამბავი მოვისმინე, დაწყებული ცხინვალისა და მისი მოსახლეობის ისტორიიდან, მსოფლიოში საერთაშორისო ვითარებით დამთავრებული. მერე ბატონმა სტეფანემ ისეთი წინადადება შემომთავაზა, ის ცრიატი დღე მზით გაკაშკაშებული მომეჩვენა. ჯერ მკითხა, ქალბატონ იზა ორჯონიკიძესთან თუ მეგიძლია დამაკავშიროო და მერე მიზეზიც გამიმხილა. მის მდიდარ საოჯახო ბიბლიოთეკაში, თურმე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" XIX საუკუნისეული ორი სხვადასხვა გამოცემა ინახება და ახლა გადაუწყვეტია, რომ, თუ ისინი რაიმე ღირებულს წარმოადგენს, საქართველოს ლიტერატურის მუზეუმს საჩუქრად გადასცეს. ამასთან, ბატონმა სტეფანემ თავისი თაყვანისცემა გამოხატა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ქალბატონ იზა ორჯონიკიძისადმი.

სტეფანემ და მისმა მეუღლემ ბაბულია კობალაძემ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როცა სამი წლის წინათ მათი უფროსი ქალიშვილი ნელი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა და სამუდამოდ დათალხა მშობლების გული.

სტეფანე და ბაბულია თანაკლასელები იყვნენ. სიკეთითა და ალალი ბუნებით დაიპყრო ვაჟმა ქალიშვილის გული. სკოლის დამთავრების შემდეგ ორივე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, თუმცა, სტეფანემ მისი დამთავრება ვერ მოასწრო, რადგან 1941 წელს, მეორე კურსიდან წაიყვანეს ომში. საზენიტო-საარტილერიო პოლკში ბრძოლა მან სტალინგრადიდან დაიწყო, — ვორონეჟის, უკრაინის ფრონტები მოიარა და 1945 წელს დრეზდენში დაამთავრა ისე, რომ ერთი ნაკაწრიც არ ჰქონია. მამა ომში წასვლამდე გარდაიცვალა და სახლში დაბრუნებულს დარდისაგან დაპატარავებული დედალა შეეგება.

ბაბულია უკვე მუშაობდა ცხინვალის №4 საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც ათეულობით წლები შეალია მოზარდი თაობის აღზრდას. მალე დაქორწინდნენ ახალგაზრდები. სტეფანემ სხვადასხვა სფეროში სცადა ბედი. ჯერ ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი იყო, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, სცენაზე საკუთარი თავი ვერ იპოვა და მიატოვა თეატრი, მერე ვაჭრობაში სცადა ბედი, ბოლოს მაინც ხელოვნების სამსახურს დაუბრუნდა — იყო ცხინვალის სამხატვრო ფონდის დირექტორი, თეატრალური საზოგადოების საწარმოს უფროსი, თეატრის ადმინისტრატორი...

სანაქებო შვილები გაზარდეს. ნელიმ მინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და თბილისში ზუსტი მექანიზმების საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ლაბორატორიის უფროსად. იქიდან, როგორც პერსპექტიული მეცნიერი მუშაკი, მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკურ სასწავლებელში გაგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სასწავლებელი დაამთავრა სპეციალობით რობოტები და მანიპულატორები. ბოლოს მუშაობდა თბილისის საწარმოო-კვლევითი გაერთიანება „პროგრესში". ოჯახიც შექმნა, მაგრამ ერთ დღეს, მშობლებისკენ მომავალს გზაზე ბედმა უმუხთლა. დედ-მამა თავიანთ მწუხარებაზე ნაკლებად ლაპარაკობენ, თვლიან, რომ თავისი ტკივილით სხვა არ უნდა შეაწუხონ. სამაგიეროდ, უმცროს შვილზე, ევანოზე ბატონ სტეფანეს შეუძლია ოცდაოთხი საათი ისაუბროს; ახლა მისით ცოცხლობენ და მისით ამაყობენ.

ევანო გრიქუროვი ძალოსნობაში დამსახურებული მწვრთნელი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია. მისი პირველი წარმატების მაჩვენებელი იყო კახი კახიაშვილის მსოფლიო სპორტულ ორბიტაზე გაყვანა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში კახი კახიაშვილი თავის წარმატებებს დღესაც ევანო გრიქუროვს უმადლის. სიდნეის ოლიმპიადაზე გია ასანიძის გამარჯვების შემდეგ მისი მწვრთნელი ევანო გრიქუროვი საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. სწორედ მისი დამსახურებაა სამგზის ევროპისა და ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, საერთაშორისო რეკორდსმენის გიორგი ასანიძის მიღწევები. ამჟამად ევანო პოლონეთის ნაკრების მწვრთნელია ძალოსნობაში. ამ ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იგი საქართველოში, კერძოდ, თბილისში დაბრუნდება. უხარიათ მოხუცებს, რომ შვილიც ახლოს ეყოლებათ და შვილიშვილებიც.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ „ვეფხისტყაოსნის" ეგზემპლარებს, ერთ-ერთი მათგანი სტეფანეს დედას ქრისტინე ალიხანოვას ოჯახში მზითვად მოჰყოლია დედისაგან და ტრადიციის თანახმად, იგი კვლავ მზითევში უნდა წაეღო მის შვილიშვილს, ანუ ნელის, რომელიც, თურმე, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ამ წიგნს, ახალ ოჯახში წაღება კი ვეღარ მოასწრო. ამიტომაც სურს ბატონ სტეფანეს, რომ ეს წიგნი მის სახელზე უსაჩუქროს მუზეუმს და ამით გამოხატოს მადლიერება იმ ქალაქისადმი, სადაც მისი შვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ეს „ვეფხისტყაოსანი" 1860 წელსაა დაბეჭდილი სანკტ-პეტერბურგის სტამბაში. გარეკანი იუწყება: **„ვეფხისტყაოსანი" „თქმული შოთა რუსთაველისგან, თამარ მეფის დროს". ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან განმარტებითურთ".**

პოემას შემდეგი ტექსტი აქვს დართული:

„თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღვთისმშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად ჰსთქვა შოთა რუსთველ-მან.

„ირანს ებრძოდნენ ჩვენ მიერ
სპათა მისთა,
ჩვენნი მხედარნი,
მოსავნი შენნი,
სძალო!
მოსწყინეს,
მოსწყვიდნეს
აგარის
ნათესავნი,
მუნით მოსრულთა
ნიჭთა-გან
ერთსა ამას.
შენდა შევსწირავ,
გიოხე ძებრ
ღმერთო".

„იამბიკო ესე, თქმული შოთთა რუსთაველის მიერ, ზედა-წარწერილ-არს ხატსა ზედა ხახულის ღვთისა-მშობლისა".

„ქალწულებრივთა სისხლთა
შენთაგან, სძალო,
თბედ საიდუმლოდ ზენაისა
განგებით,
ძის ღვთისა ძედ მეშუ იქმენ,
არსათა მაცხოვნად
მე თამარ ჩვენი ტომთა-გან
დავითეებრთათ,
მამკვე, შემამკვე, მადიდი,
აღმამაღლე,
აწ მეცა ხელ-ვჰყავ შემოკბად
ხატსა შენსა
დედისა ძითურთ და მეც
ძითურთ მფარევად".

მეორე წიგნი „შოთა რუსთაველის ვეფხის-ტყაოსანი", გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ თბილისში, მარტიროსიანის სტამბაშია დაბეჭდილი 1888 წელს. იგი პირველი გამოცემაა ზიჩის ილუსტრაციებით.

თუ ამ წიგნებიდან რომელიმე ლიტერატურისა და ხელოვნების მუზეუმისთვის საინტერესო იქნება, იმედია, ქალბატონი იზა ორჯონიკიძე შეგვეხმიანება და ბატონი სტეფანე გრიქუროვი თავის მოქალაქეობრივ ვალად თვლის უსაჩუქროს წიგნი ამ მუზეუმს.

ციალა კახნიაშვილი,
„სრ" საკ. კორ.

ვერსია

რატომ ვერ მიიღო ჰიტლერმა ატომური ბომბი

სამოცი წლის წინათ, სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ, ჰიტლერმა პირველად განაცხადა, რომ გერმანია მზად არის მტრის წინააღმდეგ გამოიყენოს „შურისძიების იარაღი“. სამი სამეცნიერო სკოლის — გერმანული, ამერიკული და საბჭოური სკოლების დაპირისპირებით, არსებითად, დაიწყო კიდეც „ჭკვიანი“ ბომბების შექმნა.

ამის შესახებ ცნობილი ჟურნალისტი იაროსლავ გოლოვანოვი ესაუბრება ფიზიკოსსა და მეცნიერების ისტორიკოსს ვალენტინ ბელოკონს.

— როდის გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჰიტლერს ჰქონდა ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობა?

— თავის მემუარებში უინსტონ ჩერჩილი წერს: „როცა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მხოლოდ რამდენიმე კვირა რჩებოდა, ... ვშიშობდი, რომ ჰიტლერი შეძლებდა ბრიტანეთის კაბინეტის დემორალიზებას გარკვეული საიდუმლო იარაღის გამოყენების მუქარის ბლეფით... პროფესორმა ლიდენმანმა ჩემთან საუბრისას ილაპარაკა ატომური ენერგიის სამხედრო პერსპექტივებზე...“ ეს იყო 1939 წელს.

სტალინს მაშინ დიდად არ აღარდებდა ის, რომ გერმანელმა ოტო ჰანმა შეძლო ურანის ბირთვის გახლეჩა, ფრანგმა ჟოლიო-კიურიმ კი აღმოაჩინა ჯაჭვური რეაქცია: მას თვითმფრინავების, სახაზო ხომალდებისა და... თავდაუსხმელობის შესახებ ჰიტლერთან დადებული პაქტის იმედი ჰქონდა.

— სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი ომის დაწყების წინ მნიშვნელოვნად შეარყიეს სტალინის რეპრესიებმა. იქნებ, გერმანელებსაც სწორედ იმავე მიზეზით არ გამოუვიდათ ყველაფერი ისე, როგორც სურდათ — რეპრესიები ხომ იქაც იყო. თუმცა, თავისებური — ანტისემიტური სპეციფიკით.

— და მაინც, იმან, რომ გერმანელები დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ პროფესურას, გადაარჩინა თვით ისეთი „არაკეთილსაიმედო“ პირებიც კი, როგორებიც იყვნენ პლანკი, ლაუე, ბეპერტი, ჰოუტერმანსი (კომუნისტი და ნახევრად ებრაელი), ნობელის პრემიის ლაურეატი ვერნერ ჰაიზენბერგი, რომელსაც ნაცისტმა აქტივისტებმა „თეთრი ებრაელი“ შეარქვეს ალბერტ აინშტაინის „სიონისტური ალბათობის თეორიის“ პროპაგანდისათვის, დაიცვა აეროდინამიკის მამამ ლუდვიგ პრანდტლმა, ამ უკანასკნელს კი თვით ჰერინგი ეთაყვანებოდა. ჰაიზენბერგის უახლოესი კოლეგა გახდა მზის წვის თეორიის შემქმნელი ახალგაზრდა კარლ ფონ ვაიცზეკერი — ჰიტლერის მთავრობის სახელმწიფო მდივნის ვაჟი.

— ატომზე მომუშავე გერმანელ მეცნიერებს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუპირისპირდნენ ისეთი დიდი ემიგრანტები, როგორებიც იყვნენ ფერმი, ფონ ნეიმანი, და ბოლოს, თვით ბორი. მათ ეხმარებოდნენ ლეო სცილარდი, ეუგენ ვიგნერი, ედვარდ ტელერი...

— 1939 წლის ზაფხულში, როცა ჰაიზენბერგი ტურნეთი იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბევრს ლაპარაკობდა „არიული“ მეცნიერების უპირატესობაზე, ფერმი და ტელერი სთავაზობდნენ მას დარჩენას ყველაზე შეღავათიანი პირობებით. ჰაიზენბერგმა უარი განაცხადა. მას ელოდა გერმანიის მთავარ მეატომედ დანიშვნა... ომის შემდეგ, ჰაიზენბერგს გაუხსენეს, რომ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დროს იგი ხშირად მარტო უჯდა განცალკევებით მდგომ მაგიდას, რადგან არავის არ სურდა დიდი ქიმიკოსის გვერდით დაჯდომა... მაგრამ პრინციპში, გერმანელთა თეორიული პოტენციალი ძალზე მაღალი იყო.

— ნილს ბორი ჰაიზენბერგს საყვედურობდა, რომ იგი ენთუზიაზმით „აკეთებდა ბომბს“...

ვერნერ ჰაიზენბერგი.

ნილს ბორი.

— ბორი ფიქრობდა, რომ გერმანელთა ატომური ბომბი მალე შეიძლება ქცეულიყო რეალობად. ზესაიდუმლო ატომური ქვაბი გერმანიაში ააგეს უფრო ადრე, ვიდრე ეს გააკეთა ენრიკო ფერმიმ ჩიკაგოში 1942 წელს.

— ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ცნებები: 1) გერმანელმა ფიზიკოსებმა ვერ შეძლეს ატომური ბომბის გაკეთება და 2) გერმანელ ფიზიკოსებს არ სურდათ მისი შექმნა.

— შეეძლოთ, მაგრამ არ სურდათ. ჰიტლერს მოახსენეს გლობალური ატომური წყალქვეშა ნავების და იმ ატომური თვითმფრინავების შექმნის პერსპექტივების შესახებ, რომლებსაც კმაგაწყობის გარეშე მთელი კვირეების განმავლობაში შეეძლებოდათ ფრენა. წყალქვეშა ნავი და თვითმფრინავი ჰიტლერისთვის ჩვეულებრივი რამ იყო და ატომურ რეაქტორს, რომლის კონსტრუქციისა არა გაეგებოდა რა, იგი რაღაც სუპერძრავად მიიჩნევდა. მაგრამ არსებული ძრავები ჯერჯერობით ჰიტლერს აკმაყოფილებდა. ფანტასტიკურად მძლავრი ატომური ბომბის რეალობის წვდომა კი მას არ შეეძლო. მაგრამ უხვად აფინანსებდა ვერნერ ფონ ბრაუნის მერაკეტეებს, რომლებმაც აწარმოეს 5500 ერთეულზე მეტი ფაუ-2 „შურისძიების იარაღი“. მზად იყო ნიუ-იორკისათვის დარტყმების მიყენების პროექტი.

ურანზე მუშაობისათვის კი ჰაიზენბერგი ისეთ უმნიშვნელო თანხებს ითხოვდა, რომ ეს ნაცისტ ლიდერებს არასერიოზულად განაწყობდა ატომური პრობლემატიკისადმი. გერმანიის მრეწველობას ამერიკელებთან შედარებით გაცილებით იაფად შეეძლო ეწარმოებინა ბირთვული ასაფეთქებელი მასალა. გერმანელებმა უფრო მეტს მიაღწიეს ცენტრიფუგის — ურან-235 ასაფეთქებლის სეპარატორის კონსტრუირების საქმეში. 1945 წელს მოკავშირეებმა გერმანიაში აღმოაჩინეს 100 ტონა ურანი, რომელიც შეიცავდა 99 პროცენტ 238 იზოტოპს და 0,73 პროცენტს — 235 იზოტოპს. ამ რაოდენობის ურანიდან ისინი ცენტრიფუგებით მიიღებდნენ იარაღის დასამზადებლად საჭირო ურან-235-ს, რომლიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ორიოდე ისეთი ბომბის გაკეთება, ჰიროსიმაში რომ ჩამოაგდეს.

გერმანულ ბომბს გაცილებით ნაკლები ურანი სჭირდებოდა, ვიდრე ამერიკულს. ბერლინს მიეცემოდა შანსი გამოეყენებინა მრავალი ატომური ბომბი. ლონდონში, ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, სან-ფრანცისკოში, პარიზსა და მოსკოვში შესაძლოა ჩამოვარდნილიყო ატომური მუხტები... შეიცვლებოდა კი ამით ომის შედეგი? ძნელი სათქმელია.

— იცით, რა გავიფიქრე ახლა? ჩვენი დრო ხომ არანაკლებ საშიშია, ვიდრე მეოცე საუკუნის 30-40-იანი წლები. მაშინ საერთოდ არ იცოდნენ, შესაძლებელი იყო თუ არა ატომური ბომბის დამზადება. დღეს კი, მსოფლიომ იცის, რომ ეს შესაძლებელია. ჰოდა, ამზადებს კიდეც!

სურათებზე: ომის დასრულების შემდეგ, მეცნიერებმა გერმანელ ვერნერ ჰაიზენბერგს ბოიკოტი გამოუცხადეს; ნილს ბორს არ ებრალებოდა ფაშისტი მეცნიერები.

„კომსომოლსკაია პრავდა“,
2003 წ. 5 აპრილი.

კონტრაბანდის წინააღმდეგ

ტკბილი ზღაპარი მძაღე სიგარეტზე

(პირველი გვერდიდან)

ინფორმაცია გამართლდა, უფრო მეტიც, ვარაუდმა მოლოდინს საგრძნობლად გადააჭარბა, — ომარ ქარიმოვის ბინაში აღმოჩნდა 29.450 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და 348 ლიტრი სპირტი.

თავის ახსნა-განმარტებაში ოჯახის უფროსმა მიუთითა, 20 მარტს ჩემს სახლში უცხოური ავტომანქანით რამდენიმე უცნობი პირი მოვიდა და ეს სიგარეტი შესანახად დამიტოვა, სპირტი კი ჩემმა მეზობელმა ტარიელ კაკუმაძემ მომაბარაო. ლეგიონის მუშაკებმა, ცხადია, ასეთი ზღაპარი არ დაიჯერეს და ომარ ქარიმოვის საწყობიდან კონტრაბანდული საქონელი პირწმინდად გამოიტანეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ცნობით, მარტოოდენ სიგარეტის ფასი 21.365 ლარია. სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის თანახმად, ეს უკვე განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო საქონლის შენახვაა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 10 წლამდე.

ომარ ქარიმოვის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა, რომელიც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 4 აპრილს დაამტკიცა. ეს დადგენილება ომარ ქარიმოვს ეცნობა, თავისი უფლებებიც განემარტა. მაგრამ მას, როგორც ნებისმიერ სხვას, აქვს მოვალეობებიც, ვალდებულებებიც ქვეყნისა და კანონის წინაშე. ამ კუთხით კი მისი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. ისიც სათქმელია, რომ პირეელი ზარალი ომარ ქარიმოვმა უკვე ნახა, — მისი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული 29.450 კოლოფი სიგარეტი გენერალურ პროკურატურას ჩაბარდა და მას ვეღარ იხილავს.

სიმართლე უნდა ითქვას: ის ოპერაცია, რომელიც საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა სოფელ მეორე ქესალოში განახორციელეს, ნამდვილად გაბედული და ყოველმხრივ საქებარია, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს გამონაკლისად, ერთეულ შემთხვევად. მარნეულის რაიონში (საერთოდ, ქვემო ქართლში) მსგავსი „საწყობი“, ალბათ, კიდევ მრავლად მოიძებნება და საჭიროა მათი მიგნებაც. სხვაგვარად, კონტრაბანდით გაჯერებული ჩვენი ბაზარი კიდევ უფრო წაილეკება.

ბონდო გულიაშვილი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველოს მიერ მომწოდებელთან ა. წ. 19 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

№ ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი	პროდუქციის დასახელება	საერთო ღირ. ლარებში
№ 03/13; 21.03.03 წ.	სამხედრო ფორმის ატრიბუტიკა	30 131.

ოპერაცია „ერაყის გათავისუფლება“

მოსულმა ბაღდადის ბედი გაიზიარა

ერაყის სიდიდით მესამე ქალაქი — მოსული აიღეს ამერიკელთა ჯარებმა და ქურთმა სახალხო მოლაშქრეების რაზმებმა. ერაყის არმიამ ქალაქი უბრძოლველად დატოვა. მოსულში, ისევე როგორც მის მეზობლად მდებარე ქალაქ ქირკუკში, განთავისუფლებული მოსახლეობის სიხარული საკმაოდ მალე შეცვალა ანარქიამ და ძარცვა-გლეჯამ.

ამერიკელთა სარდლობა აცხადებს, რომ ფრონტის ხაზი უახლოვდება თიქრითს — ერთ-ერთს იმ მცირერიცხოვან ქალაქთაგან, რომლებსაც ჯერჯერობით ერაყელები აკონტროლებენ. ამერიკელთა ავიაცია ბომბავს ერაყელთა ჯარებს, რომლებიც იცავენ სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქს. გრძელდება ნადირობა ერაყის რეჟიმის უმაღლესი თანამდებობის პირებზე, თუმცა, ამერიკელთა სარდლობა ჯერჯერობით არაფერს აცხადებს იმის თაობაზე, თუ სად შეიძლება იმყოფებოდნენ სადამ ჰუსეინი და მისი ვაჟები, აგრეთვე, მისი მთავრობის მინისტრები.

ამერიკელთა ჯარები აკონტროლებენ ნავთობის ყველა ჭაბურღილს. ქირკუკის მიდამოებში, რომლის მახლობლადაც ქვეყნის უმდიდრესი საბადოებია განლაგებული. როგორც რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, ამერიკელთა ძალები ერაყის ნავთობის მთელ რეზერვებს აკონტროლებენ, რათა თავიდან აიცილონ საბოტაჟის ან ძარცვის შემთხვევები.

იმის მიუხედავად, რომ ერაყელმა ჯარისკაცებმა დატოვეს ქალაქი მოსული, მის ცენტრში მაინც ვერ შენიშნავთ დიდი რაოდენობით ამერიკელ ჯარისკაცებს, რაც მძარცველთა წისქვილზე ასხამს წყალს. იძარცვება სკოლები და ადმინისტრაციული შენობები, მოსახლეობა ამსხვრევს სადამ ჰუსეინის ძეგლებს. ერთ-ერთი გაძარცვული უნივერსიტეტის პროფესორებმა „ალ-ჯაზირას“ არხის მეშვეობით სთხოვეს ამერიკელ და ქურთ ჯარისკაცებს მოსულში წესრიგის დამყარება.

ქურთთა ნაწილების ყოფნა ჩრდილოეთ ერაყის დიდ ქალაქებში თურქეთის ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევს. ქურთებმა განაცხადეს, რომ 24 საათის განმავლობაში დატოვებდნენ ხუთშაბათს აღებულ ქალაქ ქირკუკს და, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ამერიკელთა სარდლობამ დაადასტურა, რომ ქურთთა რაზმები უკვე გაყვანილია ქალაქის ტერიტორიიდან. თუმცა, სხვა ინფორმაციით, ქურთები კვლავ რჩებიან ქალაქში.

ანკარა დაიმუქრა, რომ არ შეურიგდება ჩრდილოეთ ერაყში ქურთთა ფრონტის შემდგომ გაფართოებას. თურქეთი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ერაყის ჩრდილოეთ რაიონებში ქურთთა მეტეევების გაძლიერება და ქალაქებში ქურთთა მასობრივი მიგრაცია გააღვივებს სეპარატისტულ განწყობილებას და გამოიწვევს ამ რაიონებში ქურთთა ცალკე სახელმწიფოს შექმნას. ანკარაში აცხადებენ, რომ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში გაგზავნიან საჯარისო ქვედანაყოფებს, თუ ქურთები არ დატოვებენ ქირკუკსა და მოსულს. ქურთებიც არ აპირებენ გულხელდაკრეფილ ყოფნას და წინააღმდეგობის გაწევით იმუქრებიან. და, მართალია, ანკარას ჯერ არ გაუკეთებია განცხადება ჯარების ასეთი გადაადგილების შესახებ, ამერიკელთა სარდლობა შეშფოთებულია იმით, რომ ასეთმა შეიარაღებულმა შეტაკებებმა შესაძლოა ძირი გამოუთხაროს წარმატებით მიმდინარე ოპერაციებს ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში.

ამავე დროს

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯეფ ჰუნმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება ბრიტანელთა ზოგიერთი ნაწილის გამოყვანა ერაყიდან. და მაინც, თქვა შემდეგ ჰუნმა, ბრიტანული კონტინგენტის სრულმასშტაბიან შემცირებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია.

* * *

ორი ბავშვი დაიღუპა და ცხრა კაცი დაიჭრა ქალაქ ნასირიაში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა ცეცხლი დაუშინეს ერაყელთა ორ ავტომანქანას, რომელთა მგზავრებიც შეცდომით ტერორისტ კამიკაძეებად მიიჩნიეს.

* * *

ამერიკელთა სპეციალური დანიშნულების რაზმები მძიმე ბრძოლებს ეწევიან ერაყელთა ნაწილებთან სირიის საზღვრის მახლობლად მდებარე ქალაქ ქაიმში. როგორც ვარაუდობენ, რაიონი, რომელშიც მიმდინარეობს ბრძოლები, გამოიყენებოდა „დედამიწა-დედამიწის“ კლასის რაკეტების გასაშვები ბაზის შესაქმნელად და, შესაძლოა, იქ მასობრივი განადგურების იარაღის საწყობებიც იყოს.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ბრიგადის გენერალმა ვინსენტ ბრუქსმა კატარში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ამერიკელთა და ბრიტანელთა ნაწილებში ჯარისკაცებს დაურიგეს ბანქოს დასტები, რომლებზეც აღბეჭდილია ერაყის რეჟიმის ამჟამად ძებნილი 55 უმაღლესი თანამდებობის სახელმწიფო მოხელე. არის ვარაუდი, რომ ამ პირთაგან ზოგიერთი უკვე დაღუპულია.

* * *

პარასკევს თვითმფრინავებმა დაბომბეს ქალაქი რამადი, რომელიც ბაღდადიდან დასავლეთით 100 კილომეტრზე მდებარეობს. როგორც კოალიციის ძალების სარდლობა აცხადებს, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, რამადში იმყოფებოდა სადამ ჰუსეინის ძმა — მისი დედინაცვლის ვაჟი ბარზამ იბრაჰიმ ალ-თიქრითი.

„სამეული“ ერაყში გაეროსათვის როლს ეძებს

ეგრეთ წოდებული „ევროპის სამეულის“ — რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებმა სანკტ-პეტერბურგში განიხილეს ერაყის ირგვლივ შექმნილი ვითარება და ქვეყნის აღდგენის პერსპექტივები. იმის მიუხედავად, რომ ბაღდადი დაეცა, სამი ლიდერის პრინციპული პოზიცია უცვლელი დარჩა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დადებითი მოვლენა უწოდა რეჟიმის კრახს, რომელიც, მისივე თქმით, არავის არ მოსწონდა, თვით სადამ ჰუსეინის გარდა. თუმცა, პუტინმა ეჭვქვეშ დააყენა თვით სამხედრო ოპერაციის მიზნები.

როგორც პუტინმა განაცხადა, ის ფაქტი, რომ ბაღდადს რეჟიმისათვის თვით ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი არ გამოუყენებია მასობრივი განადგურების იარაღი, ბადებს კითხვას: ჰქონდათ კი მათ საერთოდ ასეთი იარაღი? გარდა ამისა, პუტინმა ხაზი გაუსვა იმასაც, თუ რა ფასად დაჯდა სადამ ჰუსეინის დამხობა — ამან ერაყს მოუტანა ჰუმანიტარული კატასტროფა, დიდძალი მსხვერპლი, ნგრევა.

რუსეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ერაყში საერთაშორისო ინსპექტორთა დაბრუნებას, რომელთა გარეშეც, მიაჩნია პუტინს, ლეგიტიმურს ვერ ვუწოდებთ მასობრივი განადგურების იარაღის პოვნის თუნდაც ერთ ფაქტს.

სამივე ლიდერი მომხრეა იმისა, რომ ერაყის აღდგენის საქმეში ძირითადი როლი გაეროს უნდა დაეკისროს. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ მხოლოდ გაეროს აქვს მორალური ავტორიტეტი და საჭირო გამოცდილება ერაყის აღდგენისათვის.

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ სამი ქვეყნის ლიდერებს გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანიც შეუერთდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ანანმა არ ისურვა, რომ მისი სახელი დაუკავშირონ გათიშულობას გაეროს რიგებში, რომელიც გამოიწვია ერთის მხრივ, ლონდონისა და ვაშინგტონის, მეორეს მხრივ კი — მოსკოვის, პარიზისა და ბერლინის შეურიგებელმა პოზიციამ ერაყში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების საკითხებში.

მართალია, „სამეულის“ ლიდერები მოითხოვენ, რომ ერაყის აღდგენის საქმეში ძირითადი როლი გაეროს დაეკისროს, მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე არაორაზროვნად აღნიშნა, რომ ამის გაკეთებას არ აპირებს. ჯერ კიდევ ხუთშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ სწორედ კოალიციის წევრი ქვეყნები, რომლებმაც დიდი მსხვერპლი გაიღეს, განსაზღვრავენ კიდეც ერაყის მომავალს. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლ ვულფოვიცი კი, კიდევ უფრო კატეგორიული იყო: „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ შეიძლება წარმართავდეს ამ პროცესს“, — თქვა მან.

ნადირობენ სადამ ჰუსეინის მილიარდებზე

ერაყის აღდგენას ათობით მილიარდი დოლარი დასჭირდება. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ ვინ გაიღებს ამ თანხას. თუმცა, ზოგიერთი მიმომხილველი ვარაუდობს, რომ საჭირო სახსრების თუნდაც ნაწილის დაფარვა შეიძლება სადამ ჰუსეინის ფულიდან. ერაყელ დიქტატორს, როგორც მისი მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, მთელი მსოფლიოს ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე აქვს 6-დან 30 მილიარდამდე დოლარი. თუმცა, ამ ფულის პოვნა, რა თქმა უნდა, იოლი საქმე არ იქნება.

უკვე დიდი ხანია ეჭვობდნენ, რომ სადამ ჰუსეინი ძარცვავდა საკუთარ ხალხს, მაგრამ მის ფულზე ნადირობა ბუშის ადმინისტრაციამ მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ, გასული თვის დამლევს დაიწყო. ამჟამად, ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინა ცდილობს მიაგნოს ჰუსეინისა და მისი ნათესავების პირად ანგარიშებს, რათა დაუწესოს კონტროლი ამ ფულს და თვითონ დახარჯოს იგი ერაყის აღდგენისათვის.

ექსპერტთა მონაცემებით, ჰუსეინმა დიდძალი ფული იშოვა გაეროს პროგრამის „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ ხარჯზე, რომელიც შვიდი წლის წინათ ამოქმედდა. ამ პროგრამის მიხედვით, ერაყი ყიდდა ნავთობს და ამონაგები ფულით შეეძლო შეესყიდა სურსათი, მედიკამენტები და სხვა საქონელი. ნავთობის ნაწილს ჰუსეინი საბაზრო ფასებზე იაფად ყიდდა და ამის გამო მყიდველთაგან სოლიდურ მისაგებელსაც იღებდა. „მაგალითად, თქვენ თანხის 95 პროცენტს იხდით გაეროს ანგარიშზე, 5 პროცენტს კი იმ ანგარიშზე რიცხავთ, რომელზეც სადამ ჰუსეინი მიუთითებს“, — განმარტავენ ამერიკელი ექსპერტები. ახლა ადვილი არ არის იმ პირთა პოვნა, რომლებიც ასეთ აფერაში მონაწილეობდნენ. მით უმეტეს, რომ ერაყის რეჟიმთან გარიგებებში მრავალი დაინტერესებული პირი ან მათი შუამავლები მონაწილეობდნენ, რომლებიც მალევე ახერხებდნენ თავიანთი კვალის მიჩქმალვას.

რას მოუხერხებენ ერაყის ვალებს?

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ როგორ მოხდება ერაყის აღდგენა ომის შემდეგ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ეს ძალზე ძვირი დაჯდება. როგორც წლების განმავლობაში სანქციებითა და ომის შედეგად დანგრეული ერაყის ინფრასტრუქტურის მასშტაბის, ისე მისი აღდგენის ღირებულების დადგენისას, აბსოლუტურად განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1991 წელს გამოითვალა, რომ ომამდელ მდგომარეობამდე ერაყის ეკონომიკის აღდგენისათვის (იგულისხმება სპარსეთის ყურეში პირველი ომი) საჭირო იქნებოდა 22 მილიარდი დოლარი, ანუ დაახლოებით 30 მილიარდი დღევანდელი კურსით.

მაგრამ ამ ბოლო ხანს განხორციელებული გამოკვლევების დროს გაითვალისწინეს დასახული ამოცანის მასშტაბურობა და „ანგარიშის“ ღირებულება ერთიათად და მეტად გაზარდეს — მინიმუმ 400 მილიარდი დოლარი. უცნაური დამთხვევაა, მაგრამ ეს ციფრი დაახლოებით შეესაბამება ერაყის ამჟამინდელი ვალების ოდენობას. ვაშინგტონის სტრატეგიულ და საერთაშორისო გამოკვლევათა ცენტრის სპეციალისტთა მონაცემებით, ბაღდადს სხვადასხვა ქვეყნებისა და კომპანიების 383 მილიარდი დოლარი მართებს. მრავალი ანალიტიკოსი გამოთქვამს შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ ერაყის დავალიანების პრობლემა, ალბათ, ჯერჯერობით სერიოზულად არავის აღელვებს. შექმნილი ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალი, მიაჩნიათ მათ, შეიძლება გახდეს ერაყის ვალებზე მორატორიუმის შემოღება ან მათი დროებითი გაყინვა, მაგალითად, ხუთი წლით. თუმცა, არც ამის განხორციელება იქნება იოლი.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაც და დიდი ბრიტანეთის მთავრობაც ჯერჯერობით თავს იკავებენ ერაყის ვალებთან დაკავშირებით გეგმებზე ლაპარაკისგან.

როგორც ჩანს, ვაშინგტონში არ სურთ ყურად იღონ ის, რომ გამარჯვებულმა უნდა იკისროს დამარცხებული ქვეყნის პრობლემათა ნაწილის მოგვარება. თავის მხრივ კი, დიდი ბრიტანეთი და ევროპის კავშირი დაჟინებით მოითხოვენ, რომ ყველასათვის საერთო პრობლემად იქცეს როგორც ერაყის აღდგენის საქმე, ისე ამ ქვეყნის ვალების გასტუმრება.

გაეროსაც თავისი პრობლემები აქვს. ის, რომ ეს ორგანიზაცია დამოკიდებულია დონორ ქვეყნებზე, არ აძლევს გაეროს შესაძლებლობას აშკარად გამოთქვას უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის გამო. თუმცა, გაეროში უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამერიკის ქცევა კიდევ მრავალ სირთულეს შექმნის.

„თუ გავითვალისწინებთ ყოველივე იმას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა ქვეყნები აცხადებენ, ვალის გასტუმრების საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდება, — აღნიშნა ბიბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას გაეროს წარმომადგენელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. — მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემა გაცილებით უფრო რთულია, იმასთან შედარებით, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები“.

ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ უახლოეს მომავალში ერაყის ირგვლივ თავს მოიყრის სხვადასხვა ლობისტების, მთავრობებისა თუ კერძო კომპანიების მთელი ჯგუფი, რომლებიც ეცდებიან ან დაიბრუნონ თავიანთი ფული, ანდა უარყონ პრეტენზიები, რათა არ შეაფერხონ ქვეყნის აღდგენა.

ერაყში ყველაზე მეტი რაოდენობის კონტრაქტების დადების იმედი აქვთ ჩინეთის, ნიდერლანდის, საფრანგეთის, გაერთიანებული არაბული საამიროებისა და სხვა ქვეყნების ტელესაკომუნიკაციო და ენერგეტიკულ კომპანიებს.

მაგრამ ერაყის ვალების დაბრუნებით ყველაზე მეტად დაინტერესებულია რუსეთი, რადგან ამ ქვეყნისა ერაყს ყველაზე მეტი მართებს. „გვსურს ვირწმუნოთ, რომ როცა სანქციები გაუქმდება, ერაყის ომისშემდგომი ხელისუფლება პატივს სცემს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და დაუყოვნებლივ დაიწყებს მოლაპარაკებას ვალების გასტუმრების პირობების შეთანხმების შესახებ“, — განაცხადა რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ალექსი კუდრინმა.

მან, აგრეთვე აღნიშნა, რომ უკვე ახლა დაიწყო ცხარე კამათი იმის თაობაზე, თუ ვინ მიიღებს კონტრაქტებს ერაყის აღდგენისათვის. ეს დისკუსია გაჩაღებულია იმ ხმების ფონზე, რომ ამერიკელები იჯარების გაცემას მხოლოდ თავიანთი კორპორაციებისათვის აპირებენ. კუდრინის აზრით, რუსეთის ნავთობისა და სხვა კომპანიებმა „უნდა მიიღონ შესაძლებლობა დაასრულონ წინათ დადებული კონტრაქტები. არ შეიძლება ჯერ ყველაფერი დავანგრიოთ, შემდეგ კი თავიდან დავიწყოთ“, — აღნიშნა მან.

სხვადასხვა შეფასებით, რუსეთისა ერაყს 8-დან 12 მილიარდამდე დოლარი მართებს.

ერაყის კრედიტორთა რიცხვში შედიან სამხრეთ კორეის კორპორაცია „ჰიუნდაი“, აგრეთვე, სპარსეთის ყურის მრავალი ქვეყანა, მათ შორის, ირანი, ქუვეითი და თურქეთი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

დედაქალაქი

რიყე რომ გარიყული არ დარჩეს

თბილისის ერთ-ერთი ისტორიული, შეიძლება ითქვას, უნიკალური უბნის რიყის განაშენიანება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, ძირითადად ერთ და ორსართულიანი სახლებით. ჩამოყალიბდა მთავარი ქუჩაც, რომელსაც ვიწრო „გასასვლელები“ ჰქონდა მტკვრისკენ. ამ მდინარეზე კი, ერთმანეთის მიჯრით, წყლის წისქვილები იყო განთავსებული. რიყე ხელოსანთა უბანი ყოფილა, სახლების პირველი სართული, თურმე, სახელოსნოებსა და სავაჭრო ცენტრებს ეკავათ.

თანამედროვე რიყეზე კი, განთავსებულია უამრავი რესტორანი (დროებითი „ფაცხების“ მეპატრონეებმა თანდათან დაბალი არქიტექტურული ღირებულების კაპიტალურ შენობებად — კაფე-რესტორნებად გადააკეთეს), რამდენიმე ბენზინგასამართი სადგური, აქვე იმართება სახალხო დღესასწაულები, საესტრადო თუ თანამედროვე შოუ-წარმოდგენები... ქალაქის ეს უმშვენიერესი უბანი კვლავაც მაყვანთა ძალადობის ადგილად რჩება და ბუნებრივია, რიყე ისევ საზოგადოების განსჯის საგანს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ რიყის უბნის ქალაქგეგმარებითი კონცეფციის შესახებ რამდენჯერმე გამოცხადებულ კონკურსში 1997 წელს გამარჯვებულიც გამოვლინდა, უნდა შექმნილიყო ამ უბნის პერსპექტიული განვითარების იდეათა ბანკი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ქალაქის მთავარი არქიტექტორი შეიდჯერ შეიცვალა და რიყე კვლავ ყველასგან გარიყული დარჩა...

რიყის უბნის ქალაქგეგმარებითი იდეა, ამჯერად არქიტექტურის საქალაქო სამსახურის საგამოფენო დარბაზში არქიტექტორმა **ვახტანგ დავითაიამ** წარმოადგინა და მისი საყოველთაო განხილვა მოეწყო. თვითონ ცნობილი არქიტექტორი ვახტანგ დავითაია დაუშვებლად მიიჩნევს ამ სივრცის კომერციულ ან ნებისმიერი სხვა პრაგმატული მიზნით გამოყენებას, მისი აზრით, რიყე უნდა იყოს ადგილი ყველასთვის, რაც შესაბამის და განსაკუთრებულ მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვას მოითხოვს. აი, რას ვკითხულობთ არქიტექტორის საპროექტო წინადადებაში: „მე ვუყურებ რიყეს, როგორც თეატრალურ სცენას, სადაც გარკვეული დროის ინტერვალით დაიდგმება „არქიტექტურული სპექტაკლები“. ისე როგორც სპექტაკლის სცენოგრაფიას არ მოეთხოვება ანგარიში გაუწიოს თეატრალური დარბაზის არქიტექტურას, მის სტილს, ასევე, რიყე — სცენა არ საჭიროებს კონტექსტს გარემოსთან, განწყობილებასთან, ის დროებითია და წარმავალი.

საპროექტო წინადადებას ბევრი რამ აქვს საერთო საგამოფენო, საფესტივალო სივრცეებთან: მიწისქვეშა სართული; მიწისზედა სივრცის ორგანიზაცია; არსებულთან დამოკიდებულება, ანუ რიყე ხელოვნებათა სინთეზის და მუდმივად მომავლისკენ მზირალ ადგილად უნდა იქცეს...

ამ უბნის ქალაქგეგმარებითი იდეის განხილვისას, არქიტექტორთა უმრავლესობამ უპირველესად მიიჩნია, რომ **რიყეზე აუცილებელია გარკვეული ვადით დადგინდეს საზღვრები, რომლებიც ხელუხლებელ ზონებად გამოცხადდება და, მეორე, — თავი მოეყაროს ათეული წლების განმავლობაში დაგროვილ ყველა ნაშრომს (კონკრეტული საპროექტო წინადადება თუ სამეცნიერო ნაშრომი) რიყისა და ქალაქის ურთიერთობის დაგეგმარების შესახებ.**

ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რიყის განაშენიანების პრობლემის სირთულე და ბუნებრივია, ძიების გაგრძელების აუცილებლობაც, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის, თბილისის მერიის და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით, საბოლოოდ და დროულად ჩამოყალიბდება პროფესიული და საზოგადოებრივი აზრი, რიყის — ამ უნიკალური უბნის მხატვრულ და ფუნქციურ საკითხებზე.

ლელა დონაძე.

სასამართლო

გამახარია ვერ გაახარეს

ძველთაგანვე ცნობილია, რომ სიმართლის თქმა ბევრს არ სიამოვნებს, მით უმეტეს, თუ ეს მწარე სიმართლეა. სწორედ ასეთ ფაქტთან გვაქვს საქმე პარლამენტის წევრის ჯემალ გამახარიასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის თამაზ ნადარეიშვილის შემთხვევაში. თ. ნადარეიშვილმა მასმედიის საშუალებით განაცხადა, რომ გამახარია აფხაზეთის დაცემის დღეს ზუგდიდში უცხოტომელებთან ერთად გახარებული ცეკვავდა და მღეროდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი გამახარიას გაღიზიანებისა და განაწყენებისა.

გამახარიამ საოლქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი თ. ნადარეიშვილის მიმართ პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საქმე ქვემდებარეობით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს გადაეგზავნა. მაშინ გამახარია მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის 500.000 დოლარს ითხოვდა, რისთვისაც მას 5.000 ლარამდე ბაჟი უნდა შეეტანა. შემდეგ მან თანხის 50.000 ლარამდე შემცირება ამჯობინა, რის გამოც საქმე ქვემდებარეობით სოხუმის სასამართლოს გადაეგზავნა.

სასამართლო სხდომაზე გამახარიამ განმარტა: საქართველოს პირველ პრეზიდენტთან შეთანხმებით, მართლაც გამოვიდა დევნილთა მიტინგზე ზუგდიდის ცენტრში, კინოთეატრის წინ, სადაც ილაპარაკა აფხაზეთის დაბრუნების გზებზე. უფრო კონკრეტულად, უნდა აღდგენილიყო კანონიერი ხელისუფლება მთელ საქართველოში, მათ შორის თბილისში და ამისათვის ის შეკრებილთ ურჩევდა თბილისისკენ წასვლასა და ძალაუფლების აღებას, რაც შეეხება შეიარაღებული აფხაზების, ჩეჩნებისა და სხვა ჩრდილოეთკავკასიელთა ზუგდიდში შემოსვლას, რაც მოხდა 1993 წლის 26 ოქტომბერს, მისი თქმით, ის ამ დროს ელიზბარ ჯაველიძესთან ერთად ბათუმში იმყოფებოდა და ამიტომ არ შეეძლო „სტუმარ-მასპინძელთა“ შეხვედრაში მონაწილეობა.

მოსარჩელე მხარის მოწმეთა ჩვენებებში ურთიერთსაპირისპირო და წინააღმდეგობებით აღსავსე ფაქტები გამომჟღავნდა. კერძოდ, მოწმე ვ. შურღაია აცხადებდა, რომ ზუგდიდში აფხაზები შემოვიდნენ. ისინი განლაგდნენ საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე. მოწმე ე. ჯაველიძე კი გადაწყვეტილად აცხადებდა, რომ ზუგდიდში უცხოტომელები არ შემოსულან, მოწმე გ. მამფორია მიუთითებდა, რომ იმ პერიოდში რაღაც ძალები შემოიყვანეს, თუმცა, სად დაბინავდნენ, მისთვის უცნობია. ვ. შურღაიას თქმით, მიტინგებზე იყო ანტისამთავრობო განცხადებები, მათ შორის სხვადასხვა ქალაქის დალაშქვრის თაობაზეც. ამის დასადასტურებლად ვ. შურღაია მიტინგზე გაკეთებულ საკუთარ განცხადებებსაც იშველიებდა და არ გამორიცხავდა, რომ ჯ. გამახარიასაც გაეკეთებინა მსგავსი მოწოდებები.

წინააღმდეგობაა მოსარჩელის მიერ ზუგდიდიდან ბათუმში გადასვლის თარიღთან დაკავშირებითაც. გამახარიას ზუგდიდში ყოფნას სამივე მოწმე ადასტურებს, ოღონდ გადასვლის თარიღად ე. ჯაველიძე 29 ოქტომბერს ასახელებს, მამფორია კი — 23-24 ოქტომბერს.

თ. ნადარეიშვილის ადვოკატი ა. ალადაშვილი მიიჩნევს, რომ მოსარჩელე მხარე სასამართლოს მსვლელობის დროს მხოლოდ პროცესის გაჭიანურების ტაქტიკას მიმართავდა, არაერთხელ არღვევდა კანონის მოთხოვნას და სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მოთხოვნას ვერ ამტკიცებდა, რაზეც მეტყველებს სასამართლოზე ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების წარმოდგენა და საკუთარი მოთხოვნის მოწმეთა ჩვენებებით უგულებელყოფა.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხე თ. ნადარეიშვილმა განმარტა, რომ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს მას ეკავა ხელმძღვანელი პოსტები, ხოლო ბოლოს, სოხუმის დაცემისას, არანაირი თანამდებობა აღარ ჰქონდა. მისი აზრით, აფხაზეთში იმიტომ დამარცხდნენ, რომ, სხვა ფაქტორებთან ერთად, ქართველებს შორის იყვნენ მოღალატეები. პირველი გამოსვლის შემდეგ მან ტელეკომპანია „კავკასიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დააზუსტა, რომ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უთქვამს მას, რომ ჯ. გამახარია სოხუმის დაცემის დღეს ცეკვავდა და მღეროდა, არამედ აღნიშნა, რომ თავისი მოქმედებებით ჯ. გამახარია აღტაცებას გამოხატავდა. ეს მას დღესაც დადასტურებულად მიაჩნია.

მოპასუხის წარმომადგენლების ინიციატივით სასამართლო სხდომაზე მოწმეების სახით დაკითხული პირები ქ. ჯობავა, ჯ. ეჟუგბაია, ი. წურწუმია, გ. გოგოხია, გ. ნაჭყებია თითქმის ერთსულოვნად საუბრობდნენ 1993 წლის ოქტომბრის თვეში ზუგდიდის ცენტრში, ე. წ. „გრომნოს მოედანზე“ გამართულ ზეიმზე, სადაც იყო სროლა, ცეკვა-სიმღერა. უკრავდნენ დოლ-გარმონს და ასეთ მხიარულ ვითარებაში ხვდებოდნენ აფხაზეთიდან გამოსულ აფხაზ და ჩეჩენ „ბოევიკებს“. ისინი გაოცებული იყვნენ ჯ. გამახარიას საქციელით, რომელიც ტაშს უკრავდა ამ უკანასკნელთ და მოუწოდებდა, რომ დადგომოდნენ გვერდით ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის და თბილისის აღებაში. ადასტურებდნენ იმ ფაქტსაც, რომ ზუგდიდში იქამდეც სისტემატურად იმართებოდა მიტინგები, რომელზედაც გამახარია გამოდიოდა და სისტემატურად მოუწოდებდა ხალხს თბილისზე გალაშქრებისკენ. როგორც თვითონ ჯ. გამახარიამ სასამართლოში განაცხადა, ის იყო და არის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აქტიური მომხრე. ამიტომ სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი ამჟამინდელი რადიკალური დაპირისპირება აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების ხელმძღვანელობასთან არის 1993 წლის ოქტომბრის თვეში ზუგდიდში მიმდინარე მოვლენების ლოგიკური გაგრძელება. ეს იყო მთავარი კოზირი საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის, რადგანაც ამან განაპირობა თ. ნადარეიშვილის მხრიდან ადეკვატური რეაქცია და წარსულის გახსენება. ე. ი. თ. ნადარეიშვილს გამახარიაზე განზრახ მონაჭორი არ გაუვრცელებია, — ასე ჩათვალა მოსამართლე ჯ. გვაგვალიამ.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ჯ. გამახარიას სარჩელი თ. ნადარეიშვილის მიმართ პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვისა და მორალური ზიანის 50.000 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენს დღევანდელობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანმა იცის, რომ მტყუანია, საფუძვლიანი მტკიცებულებების არარსებობის გამო გაუჭირდება საკუთარი მცდარი აზრის დასაბუთება, თუმცა მაინც ჯიუტად ცდილობს თავისი „სიმართლის“ დამტკიცებას. ამ შემთხვევაში, სიმართლემ გაიმარჯვა, რაც ჩვენი სამართალდამცველი ორგანოების ობიექტურობაზე მეტყველებს.

ლელა ხვადაგიანი.

განცხადებები ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ტენდერს მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის იმუნიზაციის მიზნით ვაქცინების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

ა) დიფთერია-ტეტანუსი ვაქცინა (დტ) — 67 000 დოზა;

ბ) წითელას ვაქცინა — 79 831 დოზა;

გ) ყბაყურას ვაქცინა — 63 000 დოზა;

დ) ტეტანუსი-დიფთერია ვაქცინა (ტდ) — 104 000 დოზა;

ე) 0,5 მლ. ავტოდესტრუქციური შპრიცები ფიქსირებული ნემსით — 250 000 ცალი;

ვ) **BCG** (ბცჟ) — 26 064 დოზა;

ზ) **DPT** (დიფტ-ტეტ-ყივანახველა) — 51 324 დოზა;

თ) **OPV** (პოლიომიელიტი) — 51 324 დოზა.

2. საქონლის მიწოდების ვადაა 2003 წლის 15 ივნისიდან. სასურველია ერთჯერადი, შესაძლებელია მრავალჯერადი მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე **CIP/DDP** — თბილისი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ **2003 წლის 29 აპრილიდან 5 მაისის 18 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (რაიონული სასამართლოდან ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) სასამართლოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და მისი წესდება;

დ) ინფორმაცია მედიკამენტის საქართველოში რეგისტრაციის შესახებ;

ე) მედიკამენტის მოწოდების **DDP** — პირობის შემთხვევაში ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

5. მე-4 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში მონაწილეობის მსურველს არ გააჩნია ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, მას შეუძლია მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, ან განახორციელოს მედიკამენტის მოწოდება **CIP** პირობით.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება **2003 წლის 5 მაისიდან 6 მაისის ჩათვლით,** წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს **2003 წლის 8 მაისიდან 12 მაისის 18 საათამდე, 500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, №115700718 ანგარიშზე გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა.

11. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან — შესყიდვების სამმართველოს უფროსი ბ. დათუკიშვილი. მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ: 25-01-39.

ი. კოპლატაძე,
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

---

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ტენდერს მოსახლეობის ურგენტული და ამბულატორიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ანტირაბიული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ვაქცინების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

ა) ანტირაბიული იმუნოგლობულინი —5/10 მლნ (განზავებით 1:100 მლ-ში) — 5 000 კომპლექტი;

ბ) ანტირაბიული ვაქცინა 1.0 მლ (1 დოზა). გამხსნელი-დისტილირებული წყალი 1.0 მლ. — 20 000 კომპლექტი.

2. საქონლის მიწოდების ვადაა **2003 წლის 15 ივნისიდან**. სასურველია ერთჯერადი, შესაძლებელია მრავალჯერადი მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე **CIP/DDP** — თბილისი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ **2003 წლის 29 აპრილიდან 5 მაისის 18 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (რაიონული სასამართლოდან ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) სასამართლოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და მისი წესდება;

დ) ინფორმაცია ანტირაბიული საშუალებების საქართველოში რეგისტრაციის შესახებ;

ე) მედიკამენტის მოწოდების **DDP** — პირობის შემთხვევაში ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

5. მე-4 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში მონაწილეობის მსურველს არ გააჩნია ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, მას შეუძლია მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემო აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, ან განახორციელოს მედიკამენტის მოწოდება **CIP** პირობით.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება **2003 წლის 5 მაისიდან 6 მაისის ჩათვლით,** წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს **2003 წლის 8 მაისიდან 12 მაისის 18 საათამდე, 500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, №115700718 ანგარიშზე გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა.

11. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან — შესყიდვების სამმართველოს უფროსი ბ. დათუკიშვილი. მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ: 25-01-39.

ი. კოპლატაძე,
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

---

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ტენდერს სამ ლოტად, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

I ლოტი — უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად:

ა) დესმოპრესინი (ანტიდიურეტული ჰორმონი) 5 მლ — 4 000 ფლაკონი;

II ლოტი — თირკმელგადანერგილთა იმუნოდეპრესიული საშუალებებით უზრუნველსაყოფად:

ა) კონსუპრენი (ციკლოსპორინი) 25 მგ. №50 — 711 კოლოფი;

ბ) სანდიმუნი (ნეორალი) 25 კგ. №50 — 620 კოლოფი;

გ) სელსეპტი — 108 კოლოფი.

III ლოტი — ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად:

ა) 1000 პაციენტის მედიკამენტით უზრუნველყოფა.

2. საქონლის მიწოდების ვადაა 2003 წლის 5 ივნისიდან. სასურველია საქონლის ერთჯერადი, შესაძლებელია მრავალჯერადი მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე **CIP/DDP** — თბილისი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ **2003 წლის 29 აპრილიდან 5 მაისის 16 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით; საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (რაიონული სასამართლოდან ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

(საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

(სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;

გ) სასამართლოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და მისი წესდება;

დ) ინფორმაცია მედიკამენტის საქართველოში რეგისტრაციის შესახებ;

ე) მედიკამენტის მოწოდების **DDP** — პირობის შემთხვევაში ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი);

ვ) მესამე ლოტში მონაწილეობის მსურველებმა, ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტების მოწოდების შემთხვევაში, დამატებით უნდა წარმოადგინონ ლიცენზია სპეციალურ კონტროლსდაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციის შესახებ (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი).

5. მე-4 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში მონაწილეობის მსურველს არ გააჩნია ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, მას შეუძლია მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, ან განახორციელოს მედიკამენტის მოწოდება **CIP** პირობით.

8. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება **2003 წლის 5 მაისიდან 6 მაისის ჩათვლით,** წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს **2003 წლის 8 მაისიდან 12 მაისის 18 საათამდე, 500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, №115700718 ანგარიშზე გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ თითოეულ ლოტში ერთი სატენდერო წინადადება. შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა.

11. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

12. შემსყიდველსა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან — შესყიდვების სამმართველოს უფროსი ბ. დათუკიშვილი. მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ: 25-01-39.

ი. კოპლატაძე,
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიჰაა...

ზევსი ქართველების სიძე იყო?!

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ფოლკლორისტმა ზიზო ჭელიძემ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენთან საუბარში მკითხველი გააოცა იმის მტკიცებით, რომ ამირანი იაზონის დიდი პაპა ყოფილა, თან დაგვპირდა: ეს რა არის, მომავალში იმას მოგიყვებით, ბერძენთა უზენაესი ღმერთი ზევსი ქართველების სიძე რომ იყოო.

— როგორ არის საქმე ბატონო ზიზო? მე უკვე წარმოვიდგინე, განცვიფრებული მკითხველი რომ ჩაილაპარაკებს, სად ზევსი და სად ქართველებიო, ან კიდევ, სად მისი სიძობაო...

— ნუ აღელდებით, მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით. მივადევნოთ თვალი წინაისტორიულ მოვლენებს.

როგორც მოგეხსენებათ, ზევსის მეუღლე გახლდათ ჰერა — ბერძენთა უთვალსაჩინოესი ქალღმერთი, ზევსის მიერ ოლიმპოზე დედოფლად დაბრძანებული ულამაზესი, უმშვენიერესი, უკეთილშობილესი, ზოგჯერ უმკაცრესი და დაუნდობელიც, მაგრამ უგონიერესი და უპირატესად სამართლიანი, რომელსაც უაღრესად პატივს სცემს, ანგარიშს უწევს, უსმენს, ეთათბირება და ეკამათება ღმერთთა მორის უპირველესი.

მსოფლიო მითოგრაფიას, თუნდაც ისტორიოგრაფიას, ბევრი ღვთაება აჰყავს რჩეულთა კვარცხლბეკზე, მაგრამ ჰერა სხვაა, — ერთადერთი და გამორჩეული ეს პატივდებული ღმერთქალი თურმე ქართული წარმომავლობის ყოფილა.

— რა გვაბედვინებს ამის თქმას?

— ეყრდნობიან რა ბერძნულ წყაროებს და ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა აპრობირებულ დასკვნებს, მარტო მე კი არა, უცნობილესი მეცნიერები „ბედაევენ“ და მიიჩნევენ, რომ „ჰერა წინაბერძნული მოსახლეობის ქალღმერთი, ძველი არგოსელი ღვთაებაა“ (მითოლოგიური ლექსიკონი, 1989, გვ. 584).

თუ წინაბერძნული ღვთაებაა, ესე იგი ბერძენი არ ყოფილა. წინაბერძნული მოსახლეობა, რომელმაც ბერძნებამდელი ცივილიზაციის ფუძე შექმნა, უპირატესად იყო პელასგური მოდგმა (აკ. ურუშაძე, რისმაგ გორდეზიანი, რ. მიმინოშვილი, ე. ფურნეე, რამდენიმე სხვა ქართველი და უცხოელი მკვლევარი). „ძველი არგოსელი ღვთაებააო“ — გვეუბნება წყარო. ვინ იყვნენ არგოსელები? იგივე პელაზგები, რამეთუ არგოსი პელაზგთა მთავარ ქალაქადაა მოხსენიებული არაერთ საბუთში. „არგოსს“ ქართულ ენობრივ სამყაროშიც ჯეროვნად ეძებნება ძირები.

ჰერას პელასგობას ადასტურებს სხვა დოკუმენტებიც. ბერძენი პოეტის და მეცნიერის აპ. როდოსელის „არგონავტიკაში“ (ძვ. წ. აღ. III ს.) მოცემულია პირველი სიმღერის მე-14 ტაეპის განმარტება, სადაც სქოლიოს შემდგენი (სქოლიონი) გვაუწყებს: „აპოლონიოსი ჰომეროსისებურად უწოდებს ჰერას **პელასგიდს** თესალიის მხრიდან წარმომავლობის გამო (თესალია კი ტიპიური პელასგური ქალაქ-პუნქტია), პელაზგები არიან ისინი, ვინც ფთიოტიდაში დასახლდნენ. ჰომეროსი ამბობს: „ახლა ჩამოვთვლი მათ, რომლებიც პელაზგურ არგოსში ცხოვრობდნენო“ (აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964, გვ. 318-319) და მიიჩნევს, რომ „ჰერა „არგოსელთა ქალღმერთია“. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არგოსელები (იგივე პელაზგები) თურმე დიდი მოკრძალებით თაყვანს სცემდნენ ჰერას კულტს, როგორც თავიანთ ღვთაებას და წელიწადში ხუთჯერ უმართავდნენ დღეობას — ე. წ. „ჰერაობას“ (მით. ლექსიკონი, გვ. 584).

ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ

მივუბრუნდით ისევ „არგონავტიკას“: „იასონი ცალფეხმოსილი წარსდგა პელიასის წინაშე, რათა დასწრებოდა იმ წმინდა ნადიმს, რომელიც მეფემ (პელიასმა) მოაწყო მამა პოსეიდონის და სხვა ღმერთების სადიდებლად, ამ მსხვერპლშეწირვის დროს მხოლოდ ერთი ქალღმერთი **პელაზგიდი** ჰერა არ იქნა პატივდებული“ (მოწვეული). (აპ. როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის თარგმანი, 1948, გვ. 29).

გარდა ამისა, არგონავტთა თქმულების ვარიანტთა რამდენიმე ადგილას აღნუსხულია ჰერას თავგამოდებული მზრუნველობა პელაზგი იასონისადმი, საერთოდ პელიაზგი არგონავტების მხარდასაჭერად და გასამარჯვებლად. მოვიხმოთ ზოგიერთი მაგალითი:

ჰომეროსის „ოდისეაში“ ვკითხულობთ, რომ მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა, ყველასათვის სანუკვარმა „არგომ“ გასცურა პლანქტებში. ზღვა, ალბათ, იმასაც მაშინვე მიახეთქებდა უზარმაზარ კლდეებს, მაგრამ ჰერამ გაატარა, რადგან იასონი უყვარდა“ (ჰომეროსი, ილიადა, ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმანი, 1975, გვ. 199).

აპ. როდოსელის „არგონავტიკაში“ ჰერა მიმართავს აფროდიტას: „არგონავტების წინაშე საშინელი საფრთხეა. იასონის მდგომარეობა გვაღელვებს. მე მას, ჰადესის ბნელეთშიც რომ გაემართოს, მაინც დავეხმარები მთელი ჩემი ძალებით. გთხოვთ, რომ უბრძანოთ თქვენს ვაჟს ეროსს მოაჯადოვოს აიეტის ასული იასონის სიყვარულით. თუ აიეტის ქალიშვილი იასონს დაუკავშირდა, იასონი ადვილად იგდებს ხელთ ოქროს საწმისს“ (არგონავტიკა“, გვ. 110-112).

თეოკრიტეს თხზულებათა სქოლიანტი აღნიშნავს: „თეოკრიტე ამბობს: ჰერაკლე ფეხით მივიდა კოლხებთან. მან ჰერას სურვილით დააგვიანა, რათა იასონს მარტო შეესრულებინა კოლხებთან საზღვაო ლაშქრობა და ჰერაკლეს არ მიეკუთვნებინა იასონის საგმირო საქმე“ (აკ. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 317).

მაგალითები ბევრია.

მოტანილი ამონაწერები გვარწმუნებენ ჰერას განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში პელაზგების, ამ შემთხვევაში, არგონავტებისადმი.

რატომ იჩენდა ასეთ ყურადღებას?

ლოგიკა უბრალოა: ჰერა, როგორც ღმერთი, ერთგულებას იჩენს თავისი სამწყსოსადმი, ზრუნავს თავისი მოდგმის — პელაზგების — კეთილდღეობისათვის.

აშკარაა, რომ ბერძნული ძეგლები და მათი ავტორები არ ერიდებიან იმის ხაზგასმას, რომ ზევსის მეუღლე ჰერა-პელაზგიდი, იგივე პელაზგი იყო და არა ბერძენი.

ვინღა არიან ეგ პელაზგები? ამის შესახებ წინა საუბარში ვთქვით, ამჯერად დავსძენთ: ქართველოლოგიური კვლევის დღევანდელი დონე უკვე სადავოდ აღარ ხდის იმ გარემოებას, რომ კონტინენტური საბერძნეთის, ანუ ბერძნებამდელი ელადის მოსახლეობა, ძველი წელთაღრიცხვის XVI-XV საუკუნეებამდე, წინაბერძნული, კერძოდ, პელაზგური მოდგმა შეადგენდა, რომელიც ბერძნებამდელი ცივილიზაციის — კრეტა-მიკენის კულტურული ფასეულობის შექმნაში — თავის ჯეროვან კვალს აჩენდა... და თუ ეს ასეა, რასაც მხარს უმაგრებს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევების სოლიდური წყება, აღარაა საკამათო, რომ ჰერა, როგორც ტომით პელაზგი (პელაზგიდი), სარწმუნოებრივ-მითოსური ფუნქციით კი პელაზგთა ქალღმერთი, წინაანტიკური დროის ქართველი წინაპრების ქალღმერთად, შემდგომ უკვე ბერძნულ პანთეონში აღზევებულ მოვლენად მივიჩნიოთ.

მაშ ასე: ზევსი — ჰერას მეუღლე ნამდვილადაა ქართველების უადრინდელესი სიძე!

ესაუბრა
ვილენ მარდალეიშვილი.

კალათბურთი

დიდება დაცვას

კალათბურთელ ვაჟთა XII ეროვნული ჩემპიონატის IV წრის გუშინდელი სათამაშო დღის წინ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის — თბილისის „დინამოს“ ხორვატი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი შეუძლოდ შეიქნა და თსუ-ს წინააღმდეგ პრინციპულ დუელში გუნდის გაძღოლა ეროვნულ ნაკრებში მის ერთ-ერთ თანაშემწეს — ზურაბ ტომარაძეს დაეკისრა, რომელიც, თავის მხრივ, ერთ დროს „ვითაში“ მისსავე ყოფილ ასისტენტს, ამჯერად უკვე კოლეგას გელა წულაძეს დაუპირისპირდა.

მწვრთნელთა ტაქტიკურ დუელში დიდი ყურადღება დაცვას მიენიჭა, რაც საბოლოოდ ტაბლოზეც აისახა — 71:59 დინამოელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ფავორიტმა გადამწყვეტი უპირატესობა უკეთესი ფუნქციონალური მომზადების ხარჯზე მხოლოდ დასკვნით პერიოდში მოიპოვა, მანამდე კი ბრძოლა ძირითადად თანაბარ ხასიათს ატარებდა (14:17, 29:27).

დავძენთ, რომ გამარჯვებულთა წარმატება მნიშვნელოვანწილად მათი ლიტველი ცენტრის ვენსკუნასის კარგმა თამაშმაც განაპირობა, რომელმაც პარტნიორებს საკუთარი ფარის პრობლემა გადაუჭრა.

კიდევ უფრო უშედავათოდ წარიმართა ქვეყნის სამგზის ჩემპიონის ბათუმის „ბასკოსა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა მატჩი, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 66:57.

გუშინვე ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის ჭაბუკებმა „მაქაბი“ დაჯაბნეს — 88:67, რუსთავის „აზოტმა“ კი სოხუმელ სტუდენტებს სძლია — 82:64.

გაუწყებთ დღევანდელი შეხვედრების განრიგს: სსუ — აკადემია (14.00), „მაქაბი“ — თსუ (15.45, ვერის ბაღში) და ქუთაისი — სტუ (17.00, ბათუმში).

გია პლატონიშვილი.
ხავარ ლომაძის ფოტო.

თაობა

ამას წინათ თბილისში გაიმართა 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. გოგონათა შეჯიბრებაში 6,5 ქულით მესამე ადგილი ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის გიმნაზიის მეშვიდეკლასელმა მადონა ბოკუჩავამ დაიკავა.

შრომისმოყვარეობის საზღაური

— წლევანდელი თოთხმეტწლიანთა შეჯიბრება მეტად დაძაბული გამოდგა, რადგან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. — მითხრა მადონამ. — ჩემპიონობისთვის 40 გოგონა იბრძოდა. რამდენიმე ტურის განმავლობაში ვლიდერობდი კიდეც, მაგრამ ტურნირის ბოლო დღეებში სუსტად ვითამაშე და საბოლოოდ მესამე ადგილი დავიკავე.

— პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა მოჭადრაკეებმა, შესაბამისად, მსოფლიო და ევროპის პირველობების საგზურები მოიპოვეს. შენ საამისოდ ნახევარი ქულა დაგაკლდა. ახლა რას აპირებ?

— საზღვარგარეთ ტურნირებზე საკუთარი სახსრებით წასვლას ვერ შევძლებ. შარშანწინ ევროპის პირველობაზე გასამგზავრებლად სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა რევაზ ლოლუამ დამაფინანსა, შარშან კი კომპანია „უმბას“ გენერალურმა დირექტორმა გოჩა ფიფიამ სტიპენდია დამინიშნა, რისთვისაც ორივეს დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. წლეულსაც კეთილი ადამიანების დახმარების იმედი მაქვს.

— რომელ შეჯიბრებებში მიიღებ მონაწილეობას?

— აპრილის ბოლოს თბილისში თექვსმეტწლიანთა საქართველოს პირველობა გაიმართება, ზაფხულში კი ბათუმი შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო მემორიალს უმასპინძლებს. ორივე ტურნირში გამოვალ. მერე კი ვნახოთ, ყველაფერი სახსრებზეა დამოკიდებული...

— ნიჭიერი გოგონაა, — მითხრა გოჩა თორიამ მადონა ბოკუჩავაზე — დაუზარელი, შრომისმოყვარე. ყველა დავალებას დროულად ასრულებს. განსაკუთრებით ბოლო დროს საგრძნობლად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი. ახლაც უფროს მოჭადრაკეებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. შედეგით კმაყოფილი ვარ. ოღონდ ეს არის, რომ თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, ხშირად უნდა იასპარეზოს ტურნირებში. საამისოდ კი ფულია აუცილებელი. თუკი მას ვინმე მატერიალურად გაუმართავს ხელს, მჯერა, რომ მადონა ბოკუჩავა საერთაშორისო სარბიელზე კვლავაც გვასახელებს.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათზე: მადონა ბოკუჩავა.
ავტორის ფოტო.

სადარბაზო ბარათი

დაიბადა 1990 წლის 30 ოქტომბერს ზუგდიდში. ჭადრაკში ვარჯიში დაიწყო 8 წლისამ გოჩა თორიას ხელმძღვანელობით. 1999-2000 წლებში ათწლიანთა საქართველოს პირველობებზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. ასევე მეორე იყო 2000 წელს კალითეაში (საბერძნეთი) ევროპის პირველობაზე. შარმან და შარშანწინ თორმეტწლიანთა საქართველოს პირველობებში ყველას აჯობა, ხოლო ესპანეთში მსოფლიო პირველობაზე V-VII ადგილები გაიყო.

სხვათა შორის

სვირინგი კვლავ პოპულარულია

მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში ცნობილმა მეზღვაურმა ჯეიმს კუკმა კუნძულ ტაიტიდან ევროპაში შემოიტანა სვირინგის ცნება, მას ძველ კონტინენტზე ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. სვირინგის „მომხრეები“ იყვნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, როგორიც ინგლისის მეფე გეორგ V, დანიის მეფე ფრედერიკი, საბერძნეთის დედოფალი ოლგა, რუსეთის მეფე ნიკოლოზ II და მისი ძმა მიხეილი, ლეგენდარული ჯაშუში მატა ხარი, პაბლო პიკასო, ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი და თვით იოსებ სტალინიც კი.

რაც შეეხება სპორტსმენებს, მათ შორის სვირინგი მეტისმეტად გავრცელებულია. მოკრივე მაიკ ტაისონმა რამდენიმე თვითაც კი დააპირა თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩის გადადება, რათა სახეზე გაკეთებული სვირინგის შემდეგ მიღებული (გნებავთ, უმნიშვნელო) ჭრილობები შეხორცებოდა.

ფეხბურთი

მარსიო ამოროზო ვეტერანად ვერ ჩაითვლება (დაიბადა 1974 წლის 7 მაისს ქ. ბრაზილიაში), მაგრამ უკვე მოასწრო „ნახევარი მსოფლიოს“ შემოვლა. თამაშობდა „გუარანიში“ (1992 წლამდე), შემდეგ იაპონიაში გადაბარგდა, სადაც „იომიური კავასაკისა“ და „ვერდი კავასაკიში“ გამოდიოდა. კვლავ ბრაზილიაში დაბრუნდა, სადაც 1996 წელს რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოში“ თამაშობდა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დიდი ფეხბურთელის სახელი იტალიაში მოიპოვა, სადაც „უდინეზესა“ (1996-99) და „პარმაში“ (1999-2001) უამრავი გოლი გაიტანა. 2001 წლის 4 ივლისიდან დორტმუნდის „ბორუსიაში“ გამოდის. საინტერესოა, რომ სხვადასხვა დროს იყო ბრაზილიის, იტალიისა და გერმანიის ჩემპიონატების № 1 სნაიპერი.

ბრაზილიელ ფეხბურთელს ესაუბრება გერმანელი ჟურნალისტი თომას ჰენეკე (ჟურნალი „კიკერი“).

მარსიო ამოროზოს თილისმა

— თქვენი საყვარელი ფილმი „გლადიატორია“. იმის გამო ხომ არა, რომ ანტიკური მებრძოლები რაღაცით გაგონებენ ფეხბურთელებს?

— ფეხბურთი ბრძოლაა, ომი, რომელიც 90 წუთს გრძელდება. ამასთან, ისიც უნდა ეცადო, რომ ამ ბრძოლიდან უვნებელი გამოხვიდე.

— ნამდვილი მებრძოლი შეიძლება ვუწოდოთ თქვენს პარტნიორს დორტმუნდის „ბორუსიაში“, ჩეხ თავდამსხმელ იან კოლერს. შეგიძლიათ თუ არა მის მსგავსად ითამაშოთ — სისტემატურად ჩაებათ ორთაბრძოლაში ისე, რომ უკან დაგრჩეთ, რომ იტყვიან, გადამწვარი მიწა?

— მე და იანი განსხვავებული სტილით ვთამაშობთ. იანი ტრაქტორივითაა, გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც კი გზაში ხვდება.

— ...ამასთან ერთად, უკანაც ბრუნდება და თავის საჯარიმო მოედანშიც თამაშობს.

— იცით რა, „ბორუსიამ“ მე იმისთვის მიყიდა, რომ გოლები გავიტანო. ამის გაკეთება კი ძნელია, თუ ძალიან უკან დაიხევ.

— თქვენგან ბევრ გოლს ელიან, მათ რიცხვში — ჩემპიონთა ლიგაშიც.

— ამ ტურნირში ევროპის უძლიერესი გუნდები გამოდიან. შესაძლოა, დასაწყისში ყველაფერი კარგად არ გამოგვდიოდა, მაგრამ შემდეგ დავამტკიცეთ, რომ თამაში შეგვიძლია და ახლა მაღალ მიზნებს ვისახავთ.

— „ბორუსიას“ პრეზიდენტი დოქტორი გერდ ნიბაუმი ოცნებობს 1997 წლის წარმატების გამეორებაზე. ბოლოსდაბოლოს, დორტმუნდმა ოდესმე ხომ კვლავ უნდა გაიმარჯვოს ჩემპიონთა ლიგაში. რატომ არ შეიძლება ეს ახლანდელ სეზონში მოხდეს?

— ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი მეტოქის წამოჩოქება. პირადად მე იმაზე ვოცნებობ, რომ ვითამაშო ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში, რომელიც მანჩესტერშია დანიშნული (როგორც იცით, წლეულს ეს ოცნება აუხდენელი დარჩა — რედ.).

— ახლა ბუნდესლიგის ყველა საუკეთესო თავდამსხმელი — ჯოვანე ელბერი, აილტონი, კლაუდიო პისარო და თქვენ — უცხოელია. რა, გერმანელი თავდამსხმელები ასე სუსტები არიან?

— ეს ჩემი პრობლემა არ გახლავთ. გერმანიამ ისეთი სახელოვანი ფორვარდები აღზარდა, როგორიც იურგენ კლინსმანი და რუდი ფიოლერი იყვნენ. სამწუხაროდ, ასეთი დონის გოლეადორები უკვე აღარ არიან, თუმცა საკმაოდ კარგი თავდამსხმელები და ნახევარმცველები მაინც გვხვდებიან.

— მაინც ვინ?

— მიხაელ ბალაკი მეტისმეტად შინაარსიანად თამაშობს. იგი ნამდვილი ფენომენია.

— იტალიელები ამბობენ, რომ გერმანელი მცველები ნამდვილ გერმანულ მონადირე ძაღლებს ჰგვანან. ხომ არ არიან მათ შორის ისეთები, რომელთა წინააღმდეგ თამაში თქვენთვის განსაკუთრებით უსიამოვნოა?

— მე ვიტყოდი, რომ კოტბუსის „ენერგის“ მცველები, „უყეფენ“ და „კბენენ“ ყველას, ვისზეც კი ხელი მიუწვდებათ.

— როცა ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებოდნენ, მთავარ მწვრთნელ ლუის ფელიპე სკოლარის თქვენი კანდიდატურა არცკი განუხილავს. ახლა მან ნაკრებს თავი დაანება.

— კიდევ კარგი, რომ თავი დაანება. მე პირადად მოხარული ვარ.

— რა გიხარიათ?

— ის, რომ ახლა მაინც გამომიძახებენ ნაკრებში.

— უკვე გქონდათ კონტაქტი ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციასთან?

— ჯერ არ მქონია.

— მსოფლიოს წინა სამმა ჩემპიონატმა თქვენს გარეშე ჩაიარა. მიზნად ისახავთ თუ არა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას, რომელიც გერმანიაში იმართება.

— იმედი მაქვს, ეს ჩემი უკანასკნელი მანსია.

— გული არ გეთანაღრებოდათ, რომ ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა, თქვენ კი საშუალება არა გქონდათ მინდორზე ჭელხინათ თანამემამულეებთან ერთად?

— (იცინის). მე ან ჯოვანე ელბერს რომ გვეთამაშა, ნაკრები კიდევ უფრო იოლად მოიპოვებდა ჩემპიონობას. ბუნდესლიგაში ბევრი კარგი ბრაზილიელი ოსტატი თამაშობს. რომ შეიძლებოდეს, მათგან კარგი ნაკრები შედგებოდა. სამწუხაროდ, საერთაშორისო კანონები ამის საშუალებას არ იძლევა.

— ამ ზაფხულს თქვენი მამა ნესტორი ორი კვირით გესტუმრათ დორტმუნდში. ხომ არ ჩამოვა კვლავ, თუ 2003 წელს „ბორუსია“ რაიმე წოდებას მოიპოვებს?

— აუცილებლად ჩამოვა. მამა ჩემი თილისმა გახლავთ.

მოამზადა
გივი თორელმა.

დედაქალაქი

წყლით სავსე ორმოში ვდგავართ და... ცეცხლი გვიკიდია

წლეულს, 15 თებერვალს, შპს „თეთრი შველის“ დირექტორმა ენვერ კვიჭიძემ (მცხოვრები მიცკევიჩის ქ. №25, ბინა 7), მოიყვანა ექსკავატორი და არაგვის ქუჩა №6-ის უკანა მხარეს (მილორავას ჩიხი №2) ამოიღო უზარმაზარი ორმო. ჩვენს ბინას გამოუთხარა ძირი, რის შედეგადაც, 16 თებერვალს, ოთხი ოჯახის კედელი ჩამოინგრა, ჭერი დაზიანდა და ორი სართული მთლიანად დეფორმირებული შეიქნა. ბუნებრივია, იქ ცხოვრება პრაქტიკულად შეუძლებელია. იმავე ღამით, ჩვენი თხოვნით, ადგილზე მოვიდნენ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელი და სხვა პასუხისმგებელი პირები.

ენვერ კვიჭიძე შეგვპირდა ბინებით დაკმაყოფილებას, რაც მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. განცხადება შევიტანეთ ქალაქის არქიტექტურის სამსახურში, რის საფუძველზეც, მას აეკრძალა მშენებლობა (27.02-03, №189). „არქმშენინსპექციის“ ბრძანებით (24.02.03, №6) გაუქმდა მშენებლობის წარმოების ნებართვა. ყოველივე ამის შემდეგ, ბატონმა კვიჭიძემ 1 აპრილს მაინც განაგრძო მშენებლობა, გასკდა კანალიზაციის მილი და ორმო გაივსო წყლით. ამან დააჩქარა სახლის დანგრევის პროცესი. ჩვენ კვლავ გავასაჩივრეთ „არქმშენინსპექციაში“, საიდანაც გაიგზავნა სასწრაფო ტელეგრამა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში. ბატონ კვიჭიძეს, პოლიციის ჩარევის შემდეგ, აეკრძალა მშენებლობის გაგრძელება, ჩამოერთვა ხელწერილი. დროებით ყველაფერი მიწყნარდა.

საკითხავია, დანგრეული ბინის პატრონებს რა გვეშველება, წყლით სავსე ორმოში ვდგავართ და „ცეცხლი გვიკიდია“.

თქვენი გაზეთის გულისხმიერების იმედი გვაქვს. იქნებ, თქვენი დახმარებით გავანგრიოთ უსულგულობის ყრუ კედელი და თვალები ავუხილოთ ჩვენს დამაქცევარ ენვერ კვიჭიძეს.

თუ ამჯერადაც არაფერი გვეშველება, მთელმა ქვეყანამ იცოდეს, ჩვენი მოთმინების ფიალა აივსება და პასუხს არაფერზე ვაგებთ...

პატივისცემით,
არაგვის ქუჩა №6-ში
მცხოვრებნი
უშანგი, მარიამ გოგინაშვილები, გიორგი, ზურამ, თაკო ნოზაძეები, მურთაზ, დიმიტრი, ვახტანგ გოგიები, მზია მაისურაძე, დიანა ქადარია
და სხვ.

რედაქციისაგან: ამ წერილს კომენტარი აღარ ესაჭიროება, რადგანაც ის კონკრეტულად ასახავს ბოლო ხანს ჩვენს დედაქალაქში „პრიხვატიზებულ“ სამშენებლო პოლიგონებზე გამართულ ძალადობასა და განუკითხაობას.

რადგანაც „არქმშენინსპექციამ“ შპს „თეთრი შველის“ დირექტორის ენვერ კვიჭიძის მშენებლობის ნებართვა გააუქმა, მთაწმინდა-კრწანისის პოლიციამ გადაწყვეტილება სისრულეში (ბოლომდე სისრულეში!) უნდა მოიყვანოს. საქმე სასამართლოშიც რომ წავიდეს, დარწმუნებული ვართ, დაზარალებული მოსახლეობა პროცესს მოიგებს. ასე რომ, შპს „თეთრი შველის“ (რა უმანკო, ლამაზი სახელია!) ხელმძღვანელი (თუ ხელმძღვანელები!) ოპერატიულად უნდა მოეგონ გონს და წყალში მდგომი და ცეცხლწაკიდებული თანამოქალაქეები განსაცდელისგან იხსნან.

პრემიერი
რა ხდება?!

კრიმინალი

გვამი ნაგავსაყრელზე

ქალაქ რუსთავში, სასტუმრო „რუსთავის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაგავსაყრელზე მოსახლეობამ გვამი აღმოაჩინა. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა მხოლოდ იმის გარკვევა მოახერხეს, რომ დაახლოებით 45 წლის ქალი სასტიკად არის ნაწამები. გვამი ზეწარშია გახვეული. შემდეგ კი ტომარაშია მოთავსებული.

სამართალდამცველებისთვის ჯერჯერობით უცნობია ქალის ვინაობა და დანაშაულის ჩადენის დეტალები.

ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც რუსთავის პროკურატურა იძიებს.

ინტერ-პრესი.

ყოველი მხრიდან

კიმ რაიკენენი კი არა, ჯანკარლო ფიზიკელა

მართალია, ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 54-ე მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე — „ბრაზილიის გრან-პრი“, რომელიც უამინდობისა და ხშირი ავარიების გამო 54-ე წრეზე შეწყდა, გამარჯვებულად 53 წრის შედეგების მიხედვით გამოაცხადეს „მაკლარენის“ პილოტი კიმ რაიკენენი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რბოლის მონაწილეებშიც და მაყურებლებშიც. ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერიც.

და აი, პარიზში, საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) შტაბ-ბინაში ექსპერტებმა გულდასმით შეისწავლეს რბოლის ვიდეოჩანაწერიც და სხვა მასალებიც. ასეთი განხილვა არ მომხდარა „ფორმულა-1“-ის მთელ ისტორიაში. აღმოჩნდა, რომ რბოლის შეწყვეტისას „ჯორდანის“ იტალიელი პილოტი ჯანკარლო ფიზიკელა უკვე 56-ე წრეზე იყო გასული და აი სწორედ ის ლიდერობდა რბოლას. აქედან გამომდინარე, ავტორიტეტულმა კომისიამ გამარჯვება მას მიანიჭა და „ბრაზილიის გრანპრიც“ მას გადაეცა.

ახალი ეროვნული სპორტული პრემია

სპორტსმენებისათვის ახალი ეროვნული პრემია „დიდება“ დააწესეს რუსეთში. მას მიანიჭებს იმავე სახელწოდების სპორტულ მიღწევათა საზოგადოებრივი აკადემია. პრემიის დამფუძნებელთა მორის არიან წარსულისა თუ აწმყოს გამოჩენილი რუსეთელი სპორტსმენები — ლარისა ლატინინა, ალექსანდრე კარელინი, გარი კასპაროვი, ვლადიმერ სალნიკოვი, ვლადისლავ ტრეტიაკი, ალინა კაბაევა, ირინა როდნინა და სხვები. სწორედ სახელგანთქმული ფიგურული მოციგურავე ირინა როდნინაა ახალი ორგანიზაციის პრეზიდენტი.

აკადემიის წევრი გახდა 292 სპორტსმენი და მწვრთნელი. 30 აპრილამდე აკადემიის ყველა წევრი მიიღებს მონაწილეობას 8 ნომინაციის მიხედვით ფარულ კენჭისყრაში. ხოლო ორ ნომინაციაში — „ლეგენდა“ — და „ხსოვნა“ — გადაწყვეტილებას მიიღებს აკადემიის საბჭო.

უკვე ცნობილი გახდა პირველი ლაურეატიც — ნომინაციაში „ლეგენდა“ აკადემიის საბჭოს წევრებმა დიდი უმრავლესობით „დიდების“ პრემია მიანიჭეს 9-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს სპორტულ ტანვარჯიშში ლარისა ლატინინას.

2002 წლის შედეგების მიხედვით ახალი პრემიების საზეიმო გადაცემა მოეწყობა 23 მაისს.

ფეხბურთით ღორებიც „ინტერესდებიან“

ფეხბურთში ავსტრიის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი მიმდინარეობდა. „ვატენსვაკერისა“ და „ზალცბურგის“ შეხვედრის 83-ე წუთზე „ინსბრუკტივულის“ სტადიონის მინდორზე შემოვარდა... გოჭი. მატჩი ერთხანს შეწყდა.

მთელი ოცი წუთის განმავლობაში სტადიონის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს ოთხფეხა „გულშემატკივარის“ დაჭერა. დევნაში ფეხბურთელებიც ჩაერთვნენ. მათ მოეწონათ მატჩის ბოლოს ასეთი პაუზა.

ბოლოს ისევ მეკარემ იმარჯვა. ის „თავგანწირული“ ნახტომით ფეხებში სწვდა და ამით განმუხტა გოჭის შემოტევა. თერთმეტი ათასი მაყურებლის სტვენა-სიცილისა და გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით „წესრიგის დამრღვევი“ სტადიონს გააცილეს და მახლობელ ფერმაში არც თუ დიდი ხნით მოათავსეს.

მატჩი კი გაგრძელდა და „ზალცბურგის“ გამარჯვებით (2:0) დასრულდა. ვნახოთ, როგორი გამოდგება მისთვის ნახევარფინალი.

ამასაც „რეკორდი“ ჰქვია?!

ეს უცნაური „სპორტული“ შეჯიბრება კოსტრომაში გაიმართა. ტურნირის მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თუ ვინ უფრო შორს სტყორცნიდა.... პაპიროსის ნამწვს. მისი დევიზი იყო „მიატოვე მოწევა!“

ბოლო სიგარეტს რომ მოწევდა, თითოეულ მონაწილეს „ბიჩოკი“, რაც შეიძლება, შორს უნდა ეტყორცნა.

რეკორდი დაამყარა 41 წლის ვიქტორ ფროლოვმა — მან ნამწვი 7 მეტრსა და 11 სანტიმეტრზე გასტყორცნა.

პრიზად გამარჯვებულმა შაქარყინულის კოლოფი მიიღო, რაც დაეხმარება მოწევის სწრაფად გადაჩვევაში.

სპორტის რედაქცია

ცინცხალი ამბები

გერმანიის საფეხბურთო ლიგამ მიუნხენის საფეხბურთო კლუბი „ბავარია“ 3 მილიონი ევროთი დააჯარიმა იმის გამო, რომ 1999 წელს კლუბის ხელმძღვანელობამ საიდუმლოდ გააფორმა სარეკლამო ხელშეკრულება ამასწინათ გაკოტრებულ მედია-მაგნატთან ლეო კირხთან. თავად გუნდს ამ გარიგებამ 21,5 მილიონი ევრო შესძინა.



2004 წელს ათენში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას აშშ-ს ეროვნულ საკალათბურთო გუნდში მიიღებენ „ფილადელფიელი“ ალენ აივერსონი და „ინდიანელი“ ჯერმეინ ო'ნილი. ისინი სულ მალე შეუერთდებიან ნაკრებში მანამდე დასახელებულ 9 კალათბურთელს.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სხედან (მარცხნიდან) ვანო ურჯუმელაშვილი, გრიგოლ საჯაია, ნიკო შეელიძე, ვარლამ ქაჯაია, გიორგი შალამბერიძე; (დგანან): გივი მელიქიშვილი, მიხეილ კეკელიძე, თამაზ ნიკოლაიშვილი, ლევან ჩიქვანაია, არჩილ უშვერიძე და გიორგი ალავერდაშვილი. სურათი გადაღებულია გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციაში. 1968 წ.

მოგვაწოდა პარლო მაჭარაშვილმა.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას სურათების წასაღებად.

„სევდის ბალს შეველ...“

სოფელში მამიდასთან

მამიდა ქსენია დიდუბეში, ფოთის ქუჩაზე, უალაყაფო, მოლიავებულ, დიდ ეზოში ცხოვრობდა. ალიზით შელესილი სახლი ქუჩის პირას იდგა. ერთოთახიანი ბინა ჰქონდა, მომცრო შუშაბანდით.

მასთან სტუმრობა ყოველთვის შემოდგომაზე მიწევდა, მსიამოვნებდა სახლში ნაირნაირი ხილის საამო სურნელი რომ ტრიალებდა.

სამ შვილს ზრდიდა მამიდა. ჩვიდმეტი წლის, მშობლიურ გორისიდან ხუთიოდე კილომეტრით დაშორებულ სოფელ არგვეთში მოუტაცნია აზნაურ შალიკო კურცხალიას. საჩხერის რაიონში ცნობილი პიროვნება იყო – ცხენოსანი, მკლავმაგარი, შლეგი, სიმართლის ქომაგი და შესანიშნავი მომლხენი. შალიკოს უფროსი ძმა, ალუა სოფელში ჭკუასაკითხავი კაცი გახლდათ, ფიზიკურად სუსტი, ხშირად ავადმყოფობდა.

ათას ცხრაას ოცდაოთხ წელს, საქართველოში აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ყველა ეჭვმიტანილს არბეევდნენ და აპატიმრებდნენ. ასე იყო ჭიათურის და საჩხერის სოფლებშიც. ჰოდა, ერთ ასეთ ავბედით დღეს, კურცხალიების ოჯახს მიდგომიან და ორივე ძმა, სხვებთან ერთად საჩხერეში ჩაუყვანიათ. იქ კიდევ ერთხელ „გასაუბრებიან“ მეამბოხეებს (ბევრ მათგანს აჯანყებასთან საერთო არაფერი ჰქონდა)... შალიკოსთვის უბრძანებიათ: შენ შეგიძლია უკან გაბრუნდე სოფელში, ძმას კი დავიტოვებთო.

არ იყო მაგის კაცი შალიკო, ძმა მიეტოვებინა და თვითონ სოფელში დაბრუნებულიყო. ისე მოახერხა, რომ ძმა გააპარა და თვითონ დარჩა.

კარგადაა ცნობილი თუ რა ბედი ეწია იმ ხალხს: ჭიათურაში ვაგონებში შეყარეს და სადგურ შორაპანში საბარგო ვაგონებში გადასხეს, ვითომ თბილისში გასაგზავნად და ყვირილის პირას, ვაგონებში ჩაკეტილი ხალხი ტყვიამფრქვევებით ამოხოცეს. არც ერთი მათგანი ცოცხალი არ გადარჩენილა.

დარჩა მამიდა 6 წლის ნინოთი და ოთხი წლის დარიკოთი, მესამეს კი ელოდა.

ტანჯვის დღეები დაიწყო! ზამთარს ქალაქში ატარებდნენ, ექვს-შვიდ თვეს კი სოფელში ცხოვრობდნენ. მთელ ზაფხულს, მეზობელ-ნათესავების ხელშეწყობით, დღედაღამ შრომობდა, ხან მიწას ებრძოდა და სარჩო-საბადებელს უყრიდა თავს, ხან კი საკერავს ჩაჰკირკიტებდა (მამიდა შესანიშნავად კერავდა!)

დაჰქონდა საკმაოდ შელახული „ზინგერი“ თბილისსა და არგვეთს შორის და თავისუფალ დროს კერვით იყო დაკავებული. მერე და მერე, მოწაფეებიც გაუჩნდა.

არგვეთში მათი სახლი მარაგზის პირას იდგა. კოინდრით დაფარული დაცემული პატარა ეზო, შუაში უზარმაზარი კაკლის ხე, ეზოს მიბმული საგულდაგულოდ მოვლილი ერთი ქცევა ვენახი, ხეხილი, ბოსტანი. ქვის ფეხებზე მდგარი ხის ოროთახიანი სახლი,



ვიწრო აივნით. სახლის ერთ კედელს დაბალჭერიანი, პატარა სამზარეულო აკვროდა. ეს იყო მამიდაჩემის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება.

... მერე, მთელ ქვეყანას გაუჭირდა. სამამულო ომი რომ დაიწყო, ეს გასაჭირი ჩვენს ოჯახსაც ეწვია: მამა ფრონტზე იყო, სახლში დედა და ჩემი ორი და დავრჩით.

განსაკუთრებით გვიძნელდებოდა ზაფხულობით გათანგულ თბილისში ყოფნა. დედა სათითაოდ გვაგზავნიდა ნათესავებთან – ერთს ნიგოზეთში, თავის მშობლებთან, მეორეს ჭალაში, ილიკო წერეთლის ოჯახში (ბაბუად გვეკუთვნოდა), მესამეს არგვეთში, – მამიდასთან.

ერთ ზაფხულს კი მამიდასთან მე აღმოვჩნდი, არგვეთში მარტო დამხვდა, ნინო მეუღლესთან იყო რაჭაში, დარიკო მეგობართან ისვენებდა კოჯორში, ტარიელი კი ჯარში გაეწვიათ.

თერთმეტი წლის ყმაწვილი ვიყავი, როგორც შემეძლო, ქსენიას ისე ვეხმარებოდი, ძირითადად ეზოს ვუვლიდი. არგვეთელი ჩემი თანატოლებიც იქ მაკითხავდნენ. მამიდა მიფრთხილდებოდა, – სურდა სულ მის თვალწინ ვყოფილიყავი: შენ რომ რამეს გადაეყარო, თავი უნდა მოვიკლაო, – ხშირად იმეორებდა.

ადრიანად დგებოდა. იმ დილით მამიდას ხმამაღალმა შეძახილმა გამაღვიძა. საერთოდ, მას ხმაურიანი ლაპარაკი და გაჯავრება არ სჩვეოდა და გამიკვირდა. წამოვდექი, ეზოში არავინ ჩანდა. შეძახილი სამზარეულოდან შემომესმა, იქით გავემართე. კარი გამოკეტილი დამხვდა.

– არ შემოხვიდე! – გამომეპასუხა შიგნიდან.

დავინტერესდი, გამჭვარტლულ პატარა ფანჯარას მივადექი – ვხედავ, რომ მამიდა საკეცემომარჯვებული რაღაცას დასდევს და თან იწყევლება. ცოტა ხანში იქაურობა მიწყნარდა. თუთის ხეს ამოფარებულმა დავინახე, როგორ გამოვიდა ფრთხილად, ხის ჯოხზე გადაკონწიალებული თავგაჭყლეტილი გველი გამოიტანა, ეზო გადაიარა და ყანისკენ ძლიერად მოისროლა.

ამის შემდეგ მამიდაჩემი იმ „ქუხნაში“ საერთოდ აღარ შესულა. დილაადრიანად, სოფელში ცნობილი მუნჯი სოსიკა მოიყვანა და სახელდახელოდ, მესერთან მსუბუქი პატარა სათავსო ააგებინა.

რამდენიმე დღის შემდეგ მამიდა დამშვიდდა. იმ უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ ერთ საღამოს დამარცვლით მითხრა:

– უხსენებელი სახლში რომ შემოვა, შვილო, ცოცხალი არ უნდა გაუშვა, – თან პირჯვარს იწერდა გამალებით.

... ცოტა ხანში დედამ ჩამომაკითხა და ბიძია ლევანთან (მამაჩემის ძმასთან) გორისაში წამიყვანა.

გურამ გომართელი.

ღიმილის დოზა

ქმარი სამუშაოდან ბრუნდება. შინ მისულს ყველაფერი თავდაყირა ხვდება. აბაზანის სარკეზე წითელი პომადით წარწერაა: „სადილი სარეცხ მანქანაშია, წავედი ფსიქიატრთან“.

* * *

კაცი მეზობელს კარებზე უბრახუნებს:

— მოეშვით საქსოფონზე დაკვრას, თორემ გავგიჟდები!

— უკვე გაგიჟებული ხარ! ორი საათია ალარ ვუკრავ!

* * *

სასწრაფოდ გვჭირდება ორი და, აუცილებლად ტყუპები: ერთი — მსუქანი, მეორე — გამხდარი, წონის დაკლებისათვის უებარი წამლის რეკლამაში გადასაღებად.

* * *

ადამიანს ახასიათებს შეცდომის დაშვება, მაგრამ კაცი წინდაწინ კიდეც ფიქრობს.

* * *

— გაქვთ უფხო თევზი?

— არა! სამაგიეროდ გვაქვს უხორცო ძეხვი.

* * *

განცხადება: „ჭკვიანი კაცი თქვენს პრობლემებზე დაფიქრდება. ფასი: 1 წუთში 50 ლარი“.

* * *

ფერმერი საკუთარ ხელოვნურ წყალსაცავთან სათევზაოდ მივიდა. ხედავს, იქ ქალები ბანაობენ.

— მოგვცილდი! სანამ არ წახვალ, არ ამოვალთ! — აკივლდნენ.

— რაში მჭირდებით! ჩემს ნიანგებს საკვები მოვუტანე...

* * *

ქმარი დაბრუნდა საავადმყოფოდან, სადაც სიდედრს მკურნალობენ და ცოლს ეუბნება:

— დედაშენს მალე გამოწერენ.

— რა კარგია! შენ ვინ გითხრა?

— ექიმმა მითხრა, უარესს უნდა ველოდოთო!

* * *

— არ გიცდია, დაგელია და არ გალეშილიყავი?

— როგორ არა: ყოველ საღამოს ვფიქრობ, რომ ვსვამ...

დილით კი ირკვევა, რომ გავლეშილვარ!

სხვისი კარიკატურა



სიახლე

„საბა“ — დიდი სტიმული მწერლებს

ჩვენი მწერლობა ლიტერატურული პრემიებით ნამდვილად არ არის განებივრებული. თითოოროლა გამონაშუქი მაინცდამაინც ვერ აცოცხლებს ლიტერატურულ პროცესებს. ნაირნაირი გამომცემლობები თავს იწონებენ თავიანთი ნაღვაწით – ახალი გამოცემებით, მაგრამ ობიექტური ლიტერატურული კრიტიკა, სამწუხაროდ, უმეტესად დუმს.

ლიტერატურულ ცხოვრებას, უთუოდ გაახალისებს და გამოაცოცხლებს ახლახან დაარსებული ყოველწლიური პრემია „საბა“, რომლის დამფუძნებლები არიან თიბისი ბანკი, მწერალთა გაერთიანება „ქართული პენ-კლუბი“ და გაზეთი „24 საათი“, ხოლო ორგანიზატორია პოეტი რატი ამაღლობელი. ახალი პრემიის მიზანია მარმანდელი ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა.

2002 წლის პრემიები გაიცემა რვა ნომინაციაში, ეს იქნება: **წლის საუკეთესო რომანი, წლის საუკეთესო პოეტური კრებული, წლის საუკეთესო პიესა, წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები, წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი, წლის საუკეთესო თარგმანი, წლის საუკეთესო დებიუტი, ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.**

საგანგებოდ შერჩეული შვიდკაციანი ჟიური ძირითადად ლიტერატორებისაგან და კრიტიკოსებისაგან შედგება. მათი ვინაობა გასაიდუმლოებულია და ყოველწლიურად შეიცვლება. ამჯერად ჟიური განიხილავს შარშან საქართველოში წიგნად გამოცემულ ყველა ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებს (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული), უცხოური ნაწარმოების ქართულ თარგმანს, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებულ ან წიგნად გამოსულ ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშებს და პიესებს. ჟიურის შემადგენლობაში შევლენ მხოლოდ ისინი, რომელთა ნაწარმოებიც იმ წელს საკონკურსოდ არ იქნება წარდგენილი.

ათიოდე დღეც და უკვე ცნობილი გახდება „საბას“ პირველი ლაურეატები. სიმბოლურია, რომ **დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება 23 აპრილს – წიგნის საერთაშორისო დღეს, რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს და რომელიც საქართველოში წლეულს პირველად აღინიშნება.** ამ დღეს მოხდება წინა წლის ლიტერატურული ნამუშევრების შეფასება და საუკეთესო ავტორებისა და ნაწარმოებების დაჯილდოება.

გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემია – **2-2 ათასი ლარის ოდენობით** ზემოთჩამოთვლილ პირველ შვიდ ნომინაციაში. რაც შეეხება ბოლო, მერვე ნომინაციაში გამარჯვებულს „ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“ გადაეცემა **ხუთი ათასი ლარი.**

რუსუდან მუხიგულაშვილი.

კროსვორდი



თარაზულად: 1. შავ ზღვაში ყირიმის ნახევარკუნძულის ყურეს ბოლოში ხმელეთის ვიწრო ნაწილი, რომელიც ისევ უერთდება ხმელეთს; 3. საზღვაო მოგზაურობა; 5. დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი, რომელიც შეიარაღებულია არტილერიით, ტორპედოებით, ნაღმებით; 7. ციხესიმაგრე და სახელმწიფო საპყრობილე პარიზში XIV-XVIII ს.ს. 10. იბერიის პირველი ქრისტიანი მეფე ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად; 11. გაერთიანებული ორი კონტინენტი; 12. მცენარეთა გვარი ამარილისებრთა ოჯახის, აქვს მოკლე ღერო და ბევრი ყვავილები; 13. ტიტული, რომელიც ენიჭება კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს; 14. გადაბრუნებული ბერძნული ასო დელტა, იყენებენ მათემატიკურ ფორმულებში; 15. ცენტრალური აზიის მთაგრეხილთა სახელწოდება; 17. ავი სული, ეშმაკი; 20. კოლხეთის მოლაშქრე ბერძენ გმირთა – არგონავტების წინამძღოლი. 22. რეკორდების წიგნი, ცნობარი, რომელშიც თავმოყრილია ნაირ-ნაირი სპორტული თუ უცნაურობათა რეკორდები; 27. წუხილი, ტირილი; 28. დანაშაული, შეცოდება; 30. თავაშვებული, წრე გადასული, ქეიფი; 31. უხერხემლო ცხოველების რიგი ობობასნაირთა კლასისა, მისი შხამი მომაკვდინებელია; 32. იგივეა, რაც მისია, საგანგებო დავალება, უმაღლესი დანიშნულება საპასუხისმგებლო როლი; 33. ბერძნული მითოლოგიიდან არსება, რომელსაც აქვს ცხენის ტანი, ადამიანის გულმკერდი და თავი; 34. ცხერის ჯიში, რომლის მატყლისაგანაც მიიღება საუკეთესო ხარისხის ძაფი; 35. ფრანგი ინჟინერ-მშენებელი, 1889 წ. პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის ლითონის კონსტრუქციებისაგან ააგო კოშკი, რომელსაც დღეს მისი სახელი ეწოდება; 36. აშშ კოსმონავტი მფრინავი, მონაწილეობდა მთვარეზე გაფრენაში.

შვეულად: 1. საწყლოსნო სპორტის სახეობა-შეჯიბრება სპეციალური ფიცრით სრიალში ზღვის ზვირთებზე; 2. ყოფილი სსრკ ერთ-ერთი რესპუბლიკა; 3. ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკანის თავზე, საიდანაც ლავა ამოინთხევა; 4. სახელისა და გვარის პირველი ასოები; 6. პურობა, ქეიფი, ნადიმი; 8. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 9. საგრილებელი; 15. გათენება, გარიჟრაჟი; 16. საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვების დასკვნითი სიტყვა, ნიშნავს: ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად; 18. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ამერიკაში (უდრის 4.047 კვ.მ.) 19. სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში; 21. ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო; 23. მოთავისე, თავკერძა; 24. XVI საუკუნის დიდი ვენეციელი მხატვარი; 25. აფრიკული მახვილი, ხანჯალი; 26. ფორტეპიანოზე დამკვრელი მუსიკოსი; 28. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილი საფეხბურთო გუნდი. 29. ქალაქი ოდესის ოლქში, რომელიც 1783 წელს თურქებს წაართვა მ. სუვოროვმა.

მარიამ ჭეხაშვილი.

23 მარტს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ვერანდა. 3. უელსი. 4. ოსანა. 7. ამნისტია. 9. პითაგორა. 12. იმერეთი. 13. სოფოკლე. 15. იკაროსი. 18. არახისი. 20. ტაუერი. 21. სენატი. 26. აგრესია. 28. ავსტრია. 29. ნიაგარა. 30. ცინიზმი. 34. ერისტიკა. 35. შორაპანი. 36. ამოკი. 37. ოპერა. 38. იმპორტი.

შვეულად: 1. ვალფიში. 2. არამისი. 3. უფსა. 5. ამაო. 6. კვერთხი. 7. აპნოე. 8. ნერონი. 10. ოფორტი. 11. არესი. 13. სკიპტრა. 14. ლიხაური. 16. კრატერი. 17. იზაბელა. 18. არენა. 19. იონია. 22. მეტისი. 23. მედიანა. 24. ანგინა. 25. ივანე. 27. ირანი. 30. ციკლონი. 31. იროკეზი. 32. ეტნა. 33. ლავა.

პრესა

გაზეთი და ენის სიწმინდე

შიდა ქართლის მხარის რაიონულ გაზეთებს შორის კასპის „ახალი განთიადი“ შევარჩიე.

გაზეთის რედაქტორია ახალგაზრდა, დაფიქრებული და მუდამ ახლის მაძიებელი ნანა მერებაშვილი. სხვათა შორის, არის სხვა ნანა მერებაშვილიც. იგი ენის სახელმწიფო პალატის კასპის განყოფილების ხელმძღვანელია.

ამ ორი კოლექტივის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა ენის სიწმინდის განსამტკიცებლად, ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევათა აღსაკვეთად, ქებისა და მხარდაჭერის ღირსია.

მკითხველები კარგად იცნობენ რუბრიკებს „ო, ენავ ჩემო“ და „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“. საგაზეთო პუბლიკაციებში მოთხრობილია იმ ორთოგრაფიულ თუ სხვა შეცდომებზე, რომლებიც ასე უხვადაა გაბნეული სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო ობიექტების აბრებსა თუ წარმოება-დაწესებულებების, სოფლის საკრებულოების საქმიან ქაღალდებში.

გაზეთი სისტემატურად აცნობს მკითხველებს ასეთ მარგალიტებს: აქვეა მითითებული იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ვინაობა, სადაც ამ „მარგალიტებს“ მიაგნეს და შედეგი – გაიზიარა თუ არა ობიექტის ხელმძღვანელმა გაზეთის კრიტიკა.

დღევანდელი დღე, 14 აპრილი დედაენის დღეა და „ახალი განთიადის“ ორიგინალურად გაფორმებული ბოლო ნომერიც ძირითადად ამ დღისადმია მიძღვნილი.

გურამ ვაშაკიძე.
„სრ“ საკ. კორ.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო სამსახურის სპეციალური ანგარიში №000141107, მისამართი ირ. აბაშიძის ქ. №70 (შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და რეკვიზიტები) აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს ექვსი შენობის დაცვის მომსახურების შესასყიდად (ფინანსთა სამინისტროს შენობა – ირ. აბაშიძის ქ. №70 და დადიანის ქ. №30, საგადასახადო დეპარტამენტის შენობა – პ. იაშვილის ქ. №4, სახაზინო სამსახურის შენობა ალექსიძის ქ. №1, ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციის შენობა – ბაღდათის ქ. №8 და ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტის შენობა – ბარათაშვილის ქ. №8) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: ყოველდღიური მომსახურება (სავალდებულო ან სასურველი).

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2 მაისიდან 12 მაისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. №70, ოთახი 212.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4. 1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4. 2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის.

4. 3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი არაზუსტი, არასრული ან ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 27 მაისიდან 4 ივნისამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №70, ოთახი 212.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: თ. შავდია, ლ. ჯიმშელეიშვილი, ქ. ბადრიაშვილი, ქ. ხაჩიძე მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. №70, ტელეფონი: 29-01-67, 23-00-02.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

ტელევიზია

კვირა, 13 აპრილი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ხელმეორედ ქორწინება"** 09.45 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "დიდი დასვენება" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.15 კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი "ბნელ ოთახში" 16.50 თბილისი და თბილისელები 17.10 მულტსერიალი "ჯაშუშები" 17.35 ტელეზღაპარი 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "სახსოვარი" 19.00 "ოქროს ვექტორი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 სალომე დე ბაია თბილისში 21.15 "ამბობენ" 21.50 მელომანია 22.25 ჩემი მშვენიერი ლედი 22.50 ქართ. მხ. ფილმი **"როგორც ლურჯა ცხენები"** 00.40 ტაიმ-აუტი 01.15 მხ. ფილმი **"ბრიუვების ოჯახი"**

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.30 საქართველოს მატიანე 21.00 დოკ. ფილმი 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი **"გულის საიდუმლოებანი"** ჰიტ-პარადი

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.00 ჯადოქარი 10.45 საბავშვო ფილმი 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 15.20 ველური ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 19.00 მხ. ფილმი 21.00 კურიერი 21.45 ჩვენი ეზო 22.00 60 წუთი 23.00 "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"მთვარის შუქი და ვალენტინო"** 877 45-79-25 ელიზაბეტ პერკინსკი, გვინეტ პელტროუ, **"საიდუმლო აგენტი როისი"** 877 45-79-26, ჯეიმს ბელუში. **"მდიდარი"** 877 45-79-27 ლინო ვენტურა, კლაუდია კარდინალე. 00.15 მხ.ფ. **"უორანი ანგელოზების ქალაქი"** მთ. რ-ში: ვინსენტ პერესი. 03.20 კლასიკა.

მანანა და დემურ მიქაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ქალბატონი, ერთგული მეგობარი

ლალი ჩხაიძე

და გულითადად უსამძიმრებენ მისი ოჯახის წევრებს.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ველაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა –
sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.